ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 15 მაისი, 2019 №113 (8067) ფასი: 60 თეთრი

სოსო გოგაშვილი: „ჩემი და მალხაზ მაჩალიკაშვილის სიცოცხლე საფრთხეშია“



გვ.7

14 მაისიდან ქართული მითები

„მე მიყვარს კითხვა“



ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

# ზუგდიდში პოლიტიკური ომი დაიწყო



გვ.2

„ოცნების“ მხარდამჭერები სანდრა რულოვსს თავს დაესხნენ

გიორგი გახარია: „ყველა შემთხვევა დეტალურად იქნება გამოძიებული“





გვ.3

## გიორგი კანდელაკი: „ხელისუფლებას უნდა ეშინოდეს!“



გვ.4

## გელა ნიკოლაიშვილი: „საქართველოში არეულობის მოწყობა ბევრს უნდა“

## აღიარებს თუ არა ირანი ცხინვალის დამოუკიდებლობას



გვ.4

## ლევან ჩაჩუა: „ივანიშვილს ახალი სახეები სისტემის შესანარჩუნებლად დასჭირდა“

„მახათას მთაზე ჯერ სააკაშვილის ლუსტრირება მოხდა, ახლა – ბახტაძის“



გვ.5

სამართალი გვ.7



## რუსეთის მოქალაქე თბილისში ნარკოტიკებს ფოტოს ულებდა და ორგანიზატორს უგზავნიდა



## „იყო გვამები და ადამიანები დასახიჩრებული იყვნენ“

მერაბ კვირიკაშვილის პროცესზე მოწმე დაიკითხა



## თბილისში, კოსტავას 75-ში, მუშა მე-15 სართულიდან გადავარდა და დაიღუპა

ეკონომიკა გვ.6

## აფხაზეთში რუსი გიდებისთვის მუშაობის აკრძალვას გეგმავენ



## რატომ გაძვირდა საწვავი?



## „დაანონსებული ხელფასების ზრდა მასწავლებლების დაახლოებით 10%-ს შეეხება“



ISSN 1987-9385
9 771987 938006

3 თაკო ჩარკვიანი: „ხმები უნდა დავიცვათ არჩევნების შემდეგ კი არა, ახლავე“

4 ვინ ჩაანაცვლა მამუკა ხაზარაძე „თიბისი ბანკში“

5 ვახტანგ ძაბირაძე: „ზუგდიდში მომხდარი ინციდენტი არასტაბილური ვითარების განცდას ქმნის“

5 ნიკა გვარამია: „ეს არის სახელმწიფო ბანდიტიზმი. ამის გამო ხელისუფლებას უმძიმესად უნდა აეხეს სახე“

# ზუგდიდში პოლიტიკური ომი დაიწყო

## „ოცნების“ მხარდამჭერები სანდრა რულოვსს თავს დაესხნენ

შორენა მარსაგიშვილი

სამეგრელოში ომისთვის ემზადებიან – ის, რაც გუშინ, 14 მაისს, ზუგდიდში მოხდა, ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ 19 მაისს აქ არა არჩევნები, არამედ ბრძოლა წესების გარეშე იქნება.

ზუგდიდში მერის ვადამდელი არჩევნები მასობრივი ცემა-ტყეპით რომ დამთავრდებოდა, ამას ყველა შეგუებული იყო, მაგრამ, ასე ადრე თუ დაიწყებოდა ყველაფერი, არავის ეგონა.

პატარ-პატარა ინციდენტებს აქამდეც ჰქონდა ადგილი. „ოცნების“ მხარდამჭერები ოპოზიციას რესტორან-რესტორან დასდევდნენ, 14 მაისს კი უკვე ქუჩაში გამოიშალნენ და იქ დაიწყეს ანგარიშსწორება.

ჩხუბის გარდა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ზუგდიდის ფრონტზე კიდევ ერთი მიმართულებით გამოიჩინეს თავი.

რუსთავი 2-მა ანონიმური წყაროს მიერ მიწოდებული საუბრის ჩანაწერი გამოაქვეყნა, სადაც საუბარია ამომრჩევლის მოსყიდვასა და დაშინებაზე. საუბრიდან ირკვევა, რომ ეს ყველაფერი ზევიდან – ხელისუფლების ზედა ეშელონებიდან არის ნაკურთხი.



ჩანაწერის მიხედვით, რომელიც ავტომობილშია გადაღებული, ირკვევა, რომ „ქართული ოცნების“ წევრი და ზუგდიდის საკრებულოს დეპუტატი, გია დანელია, მეორე პირს უხსნის, თუ რა დავალებები მისცეს ზემოთ.

დანელია ყვება, როგორ დაიბარეს ის სხვა ადგილობრივ ლიდერებთან ერთად და როგორ მისცეს დავალებები, მოისყიდონ მოქალაქეები ნებისმიერ ფასად. ვისაც ვერ მოისყიდიან, დააშინონ, ვისაც ვერ დააშინებენ, გაიტაცონ და 19 მაისს საარჩევნო ყუთთან მისვლის საშუალება არ მისცენ.

რუსთავი 2-ის მიერ გავრცელებული ჩანაწერიდან ირკვევა, რომ „ოცნება“ არჩევნების მოსაგებად ე.წ. მაყურებლებთან თანამშრომლობასაც აპირებს.

– როგორ არ არის პრობლემა, გუშინ ვიყავი საკერძაიოში. საერთოდ აღებული აქვს მაგ ნაბ..არს, მაგის დედა ...

ვალერ კუკავასთან ვიყავი, ინტრიგანი ეს. გუშინწინ არ მომეწონა, შეხვედრა მქონდა იქ, ხალხი რომ ატარებდა.

ვენგერ აბსანძე, კიბოიანი კაცი გამოვიდა იქ და შენი პატივისცემით აქ ვარ, მაგრამ ამათ არაფერი ეშველებათო. მაია შენგელია და ვალერ კუკავა.

მოკლედ, მოსაკლავია. რას მეუბნება ეს კაცი – ვალერ კუკავა. ვუთხარი, რომ ლუკა და მამუკა ნათლია-მირონები არიან.

– ეს რა შუაშია?

– ნათლია-მირონები არიან. მე მეხება.

ჩემი მეზობელი არისო. როგორი მეზობელია ეს სირი. არაფერი არ მოსწონს. არც ფაროსანა, არც წამალი, ინტრიგანი მაგის დედა ვატ... არაფერი არ გაგვივიდა, მე და გოგა ვიყავით გუშინ.

ჯაბას მხარეს გვიჭირს მაგრად. ჯაბას წარმოება აქვს და დღეს უნდა ვნახო. მე ჩემებურად დავამუშავებ, შენ შენებურად დაამუშავე. ცხოვრება და მუშაობა არ უნდა?

ისევ სხვისი ნათქვამია, ხან იქით თამაშობს, ხან აქეთო. მაგრამ დღეს დილით მითხრა, არაო.

ტარიელთან, მერაბის ოჯახში გვიჭირს, მე ვფიქრობ. მამაჩემის დეიდაშვილებთან პრობლემა არ მაქვს. ეგენი რა გველურად მუშაობენ.

კოორდინატორები არ ჰყავთ. 5 თვეა, მუშაობენ.

დათომ მითხრა, დამავალეო და 5 კაცის სია მომეციო. აბა შენი სიის ამბავი მე და დათომ ვიცით, თორე ირაც ჩაწერილია.

თათბირზე ვიყავი ახლა და თბილისიდან იყო წარმომადგენელი. კაროჩე, ნებისმიერი მეთოდით იმუშავეთო, ტერორით, დედა... მოსყიდვა – მოისყიდეთო, გასატაცებელია – ყველაფერზე თანხმობაა მიცემულიო.



გალელ მაყურებლებს უნდა შევხვდე დღეს, გამიგე? მაგიტომ გამოვედი. გუშინ ინფორმაცია მივიღე, საზღვარი იკეტება. 30 კაცი გადმოდის. რა ქვია იმას, ოთარ თორდია და გიზო. ესენი ამ კაცს დაუკავშირდნენ და გადმოდიან.

დაიკეტება და იქით ხალხს დავკარგავთ. მითხრეს, რომ 30 კაცი გარანტირებული იყო, – აღნიშნულია რუსთავი 2-ის მიერ გავრცელებულ ჩანაწერში.

ამ ჩანაწერთან დაკავშირებით პროკურატურამ უკვე დაიწყო გამოძიება. „ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, რომ რაც მოხდა, აბსურდია, მაგრამ ამ აბსურდსაც სჭირდება გამოძიება.

პარლამენტის ვიცესპიკერი გია ვოლსკი ამტკიცებს, რომ ამ ჩანაწერში არ შეიძლება, „ოცნების“ წევრი ფიგურირებდეს, რადგან მმართველი პარტიისთვის ასეთი მეთოდები მიუღებელია.

ის, რაც, გია ვოლსკის თქმით, „ოცნებისთვის“ მიუღებელია, ოპოზიციის მტკიცებით, სწორედ მმართველი პარტიის სტილია.

ოპოზიციის მტკიცებით, ხელისუფლება ხვდება, რომ ზუგდიდში არჩევნებს აგებს და ამიტომაც გადავიდა თავდასხმის რეჟიმზე.

გუშინ, 14 მაისს, სანდრა რულოვსსა და ოპოზიციის სხვა ლიდერებს მაშინ დაესხნენ თავს, როცა მერობის კანდიდატი დადიანების მუზეუმის ეზოში მედიასაშუალებებს ინტერვიუს აძლევდა.

თავდასხმაში 5 ადამიანი მონაწილეობდა. ეს ადამიანები, როგორც ჩანს, ნაცებზე პროფესიონალი თავდამსხმელები არიან. ოპოზიციის მტკიცებით, ისინი წინა თავდასხმებშიც მონაწილეობდნენ.



გელა კვარაცხელია

– მათ 5 ადამიანი დაესხა თავს. ესენი იყვნენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, ის პირები, რომლებიც ჩვენს წარმომადგენლებს ასევე დაესხნენ თავს, რამდენიმე დღის წინ სოფელ რიყეში. მათ ჩვენი პარტიის ფოტოგრაფსა და კიდევ რამდენიმე ადამიანს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, – განაცხადეს პარტიაში.

სანდრა რულოვსის გარდა, თავდასხმა ჟურნალისტებზეც განხორციელდა.

ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ხატია დეკანოიძემ თავდამსხმელებში ის პირებიც ამოიცნო, რომლებიც რამდენიმე წლის წინ კორცხელის ინციდენტშიც მონაწილეობდნენ.

დეკანოიძის განმარტებით, „ოცნება“ არჩევნების მოსალოდნელმა წაგებამ გახადა ასეთი აგრესიული.

– „ქართული ოცნება“ ზუგდიდში არჩევნებს აგებს და სწორედ ამას უკავშირდება მათი აგენტების გააქტიურება. ეს ჩანს ყველა კვლევით, მათ შორის მათი შიდა გამოკითხვითაც. აგებენ ძალიან სერიოზულად და ცდილობენ, დააშინონ მოსახლეობა, ვითომ ამ სუს-ის აგენტ-პროვოკატორებით მოსახლეობაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინონ, რაც გამორიცხულია. ჩვენი დევიზი იცით, რომ ზუგდიდიდან იწყება ჩვენი გამარჯვება, დარწმუნებული ვართ, რომ სანდრას გამარჯვებით მართლაც გადაწყდება ივანიშვილის რეჟიმი.

ნებისმიერ ხელისუფლებას უნდა ესმოდეს, მათ შორის ერთი ადამიანის ხელისუფლებას, რომელსაც პრაქტიკულად მობილიზებული ჰყავს მთელი სუსი, პოლიცია, სახელმწიფო აპარატი, რომ არჩევნები არ უნდა ჩაატარონ, როგორც მათ უნდათ. ამ ხელისუფლებას უნდა ესმოდეს, მართლა სერიოზული ბრძოლა იქნება საარჩევნო უბნებზე, მე არ ვგულისხმობ მუშტი-კრივს. აქ არავინ მაგისთვის არ არის ჩამოსული. ჩვენ ვაწარმოებთ ძალიან მშვიდ კამპანიას, რეალურად დავიცავთ პრაქტიკულად ყველა ხმას, რომელმაც უნდა განაპირობოს სანდრას გამარჯვება ზუგდიდში, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში დეკანოიძემ.

მისივე თქმით, გუშინდელი თავდამსხმელებიდან კორცხელის ინციდენტში გელა კვარაცხელია მონაწილეობდა, რომელიც მოგვიანებით პოლიციამ დააკავა.

პოლიციის ქმედებითა და რეაგირების ხარისხით უკმაყოფილო იყო ოპოზიცია. მათი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ყველამ დაწერა მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით განცხადება, პოლიციამ რეაგირება დააგვიანა.

ხატია დეკანოიძე პოლიციის პასიურობას გიორგი გახარიას უკავშირებს. სამეგრელოში არჩევნების ჩატარება სწორედ შს მინისტრს აქვს დავალებული.

ოპოზიციონერი ფიქრობს, რომ ხელისუფლება ამ პროვოკაციით რულოვსის მხარდამჭერების დაშინებას შეეცადა, მაგრამ საპირისპირო შედეგი მიიღო.

– ივანიშვილი ფიქრობს, რომ გახარიას მეშვეობით ჩაატარებს არჩევნებს, მაგრამ არაფერი გამოუვათ. მოსახლეობის ნანახი აქვს ეს ყველაფერი და ახლაც ხედავენ, რაც ხდება. ზუგდიდის მოსახლეობა არის უაღრესად შეგნებული და გაწონასწორებული, მათ კარგად იციან, რომ 7 წელი არაფერი გაუკეთებიათ, ამიტომ ჩვენ ისევ ვაგრძელებთ ჩვენს კამპანიას მშვიდ გარემოში, – აღნიშნა დეკანოიძემ.

ზუგდიდში მომხდარ ინციდენტს სოციალური ქსელით გამოეხმაურა თბილისის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი. მან თავდამსხმელებს ტურები უწოდა. მისი თქმით, ტურებს არავის დამარცხება არ შეუძლიათ.

– ტურებივით გესხმიან თავს, აიპადებით აღჭურვილები, წრეს გირტყამენ, სათითაოდ, რიგრიგობით გამოხტებიან, იგინებიან, ირტყმევინებიან, არც კაცს ინდობენ, არც ქალს, არც ახალგაზრდას, არც ხნიერს და კვლავ წრეს უბრუნდებიან, იქნებ გამოგიწვიონ, იქნებ ხელი გაგაქნევინონ, რათა დააფიქსირონ შენი „აგრესია“ და დოკუმენტის სახით წარუდგინონ შეკვეთის მიმცემებს, გამომგზავნებს.

ტურები ვერასოდეს ვერავის დაამარცხებენ, ზუგდიდი გაიმარჯვებს, საქართველო გაიმარჯვებს, – დაწერა ზაალ სამადაშვილმა.

ზუგდიდის ინციდენტს ზუგდიდის არჩევნებზე პასუხისმგებელი გიორგი გახარიაც გამოეხმაურა. მედიასთან საუბარში შს მინისტრმა პირობა დადო, რომ ყველა ასეთი შემთხვევა დეტალურად იქნება გამოძიებული.

მისივე თქმით, დაუშვებელია არჩევნების დისკრედიტება. ქვეყნის მთავარი პოლიციელი ყველას მოუწოდებს, რომ პროვოკაციებს შეეშვან.

– ყველა შემთხვევა იქნება დეტალურად გამოძიებული და ჩვენთვის არ აქვს მნიშვნელობა, რომელი მხარე იქნება დამნაშავედ წარმოდგენილი. ჩვენ როგორც წინა არჩევნებში, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აბსოლუტურად ადეკვატური შეფასებები მივიღეთ. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წინა არჩევნები შეფასებული იყო, როგორც ძალადობის მხრივ ყველაზე სუფთა და თავისუფალი არჩევნები. ზუსტად ასე, ყველა მხარე, ყველა ექსცესი იქნება



### გიორგი გახარია: „ყველა შემთხვევა დეტალურად იქნება გამოძიებული“

გამოძიებული დეტალურად და, შესაბამისად, არ აქვს მნიშვნელობა, რომელი მხარე იქნება დამნაშავე – მიეცემა პასუხისგებაში.

არავის მივცემთ იმის საშუალებას, რომ დეზინფორმაციებითა და პროვოკაციებით მოხდეს არჩევნების დისკრედიტაცია, ამიტომ ყველას მოვუწოდებთ, წყნარად, მშვიდად ჩავატაროთ საარჩევნო პროცესი და მივცეთ ჩვენს მოქალაქეებს საშუალება, გამოხატონ თავიანთი არჩევანი მშვიდ გარემოში, რასაც, რა თქმა უნდა, შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს, – აღნიშნა შს მინისტრმა.

ოპოზიციას მისი ერთი სიტყვისაც არ სჯერა. მათი მტკიცებით, სამეგრელოში მომხდარი ყველა პროვოკაციის უკან გახარია დგას.

დადიანების სასახლეში მომხდარ ინციდენტზე კომენტარი ირაკლი ჩიქოვანმაც გააკეთა, რომელიც „ოცნების“ მერობის კანდიდატ გეგა შენგელიას საარჩევნო შტაბის უფროსია.

რამდენიმე თვის წინ „ოცნება“ მისი კანდიდატურის დასახელებას აპირებდა, მაგრამ ირაკლი ალასანიას ყოფილი თანაპარტიელის კანდი-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიორგი კანდელაკი: „ხელისუფლებას უნდა ეშინოდეს!“

ნათია ხურცილავა

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის დეპუტატი **გიორგი კანდელაკი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო გიორგი, წინასაარჩევნოდ ზუგდიდში ძალიან დაიძაბა ვითარება. შეიძლება, მოვლენები უმართავი გახდეს?***

– ძალიან მძიმე ვითარებაა ყველა მიმართულებით. არ შეიძლება, ასე ეშინოდეს ხელისუფლებას და ყველაფერზე მიდიოდეს. ამომრჩევლის მოსყიდვა, ამომრჩევლის დაშინება, დაშანტაჟება, მუქარა სამსახურებიდან გათავისუფლების შესახებ. გასაგებია, ხელისუფლებას ძალიან უჭირს, მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან უარყოფითად აისახება ჩვენი ქვეყნის იმიჯზე და ეს ყველაფერი ასახვას ჰპოვებს საერთაშორისო ანგარიშებში.

თქვენ გახსოვთ, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შემდეგ როგორი იყო ეუთოს, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების დასკვნები. მათ რეკომენდაციები მისცეს ხელისუფლებას და ურჩიეს, რომ ეს ყველაფერი გამოესწორებინათ. დღეს რას ვხედავთ, არათუ გამოასწორეს, ნახეთ, რა ხდება ზუგდიდში! ეს არის გამოსწორება?! პირობა ხომ დადეს, რომ გამოასწორებდნენ! ამას მხოლოდ ჩვენ არ ვუყურებთ და ამ ინფორმაციებს მხოლოდ ჩვენ არ ვიღებთ. ეს გადაეცემა ყველა საერთაშორისო პარტნიორს. ამიტომ არის საჭირო რეკომენდაციების გათვალისწინება, რასაც ისინი არ აკეთებენ.

***– თუ ასეთ საფრთხეებს უქმნის მასაც და ქვეყანასაც, მაშინ რატომ მიდის ამაზე, ყველაფრის ფასად უნდა ხელისუფლების შენარჩუნება?***

– „ქართული ოცნება“ უღირს მეთოდებს მიმართავს, რადგან მას კარგად ესმის, რომ ხალხის რეალური მხარდაჭერა არ აქვს. ეს იცის მთელმა ხელისუფლებამ და, რაც მთავარია, ეს იცის ბიძინა ივანიშვილმა.

***– ივანიშვილს ხალხის მხარდაჭერა არ აქვს?***

– არ აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაში სჭირდება ეს მეთოდები?! ეს ხომ ლოგიკურია. თუმცა, გარწმუნებთ, ეს შუალედური არჩევნები იმით იქნება სხვა არჩევნებისგან განსხვავებული, რომ ეს ბინძური მეთოდები არ იქნება საკმარისი არჩევნებში გასამარჯვებლად.



მიუხედავად ამ მეთოდებისა, ხალხის ასეთი უპატივცემულობისა, ამ არჩევნებში ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ მაინც დამარცხდება. დამარცხდება როგორც მთაწმინდაზე, სადაც შალვა შავგულიძე გაიმარჯვებს, ასევე დამარცხდება სხვა ოლქებში – ზუგდიდში, მარნეულში.

***– შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია ამბობს, არსებულ სიტუაციას შევაფასებთ და იმის მიხედვით მივიღებთ გადაწყვეტილებას, როგორ იყოს არჩევნების დღეს პოლიცია წარმოდგენილიო. რას იტყვით გახარიაზე?***

– ბატონმა გახარიამ, სამწუხაროდ, დიდი ზიანი მიაყენა ჩვენი პოლიციის რეპუტაციას.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ გახარიას ხელმძღვანელობით პოლიცია უმოქმედოა, მაშინ როდესაც ადგილი აქვს არჩევნების დროს კანონდარღვევას. მაგალითად, ასე იყო ახალქალაქში, ადიგენში და რა შეიცვლება ახლა?! რა თქმა უნდა, არც არაფერი შეიცვლება. იქნება ისევ ის, რაც იყო გახარიას მხრიდან, იმავე დამოკიდებულებას ვგულისხმობ, ასე იყო თუნდაც გუშინ ზუგდიდში. ხომ არაფერი შეცვლილა?!

პოლიციის მოვალეობაა, როდესაც არჩევნებში, წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების დროს ნებისმიერ კანდიდატს, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ არის ეს კანდიდატი, ოპოზიციის თუ ხელისუფლების წარმომადგენელი, ხელი ეშლება, ეს აღკვეთოს და იმ წუთში უნდა მოახდინოს ამაზე რეაგირება. ამის ნაცვლად ჩვენ რას ვხედავთ, ყველაფერი რომ დასრულდება და ადამიანები ერთმანეთს თავ-ყბას დაალეწავენ, მერე გამოჩნდება პოლიცია და იკითხავს, რა ხდება. ეს არის გახარიას რეაგირება.

***– მთაწმინდაზე რა მოლოდინი გაქვთ, მეორე ტური იქნება?***

– არა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირველივე ტურში გაიმარჯვებს ჩვენი კანდიდატი შალვა შავგულიძე, გამომდინარე მისი რეპუტაციიდან, გამომდინარე იმ გულწრფელობიდან, რომელიც მას ახასიათებს.

მთაწმინდის ამომრჩეველი ოპტიმისტურად არის განწყობილი. ისე, როგორც დანარჩენ საქართველოში, მთაწმინდაზეც „ქართული ოცნებისა“ და ამ ხელისუფლების მიმართ ნდობა ამოწურულია.

***– ეს არის ოპოზიციის წარმომადგენლის შეფასება თუ რეალობის ადეკვატური აღქმა?***

– ეს არის ჩემი შთაბეჭდილება, გამომდინარე იქიდან, რასაც ვხედავ. მე დავდივარ კარდაკარ და ვგრძნობ ადამიანების განწყობებს. ამ განწყობებს ისინი ღიად აფიქსირებენ.

***– 19 მაისის შუალედური არჩევნები 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ერთგვარ ტესტად არის შეფასებული. თქვენ რა მოლოდინი გაქვთ, შეძლებს „ოცნება“ ხელისუფლების შენარჩუნებას?***

– ჩვენ ახლა მთლიანად ფოკუსირებული ვართ 19 მაისის არჩევნებზე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „ქართული ოცნება“ ხელისუფლების შენარჩუნებას შეძლებს. ამის „ფუფუნება“ ჩვენს ქვეყანას ნამდვილად არ აქვს. ასეთი უკანდახევა და სტაგნაცია უკვე აღარ შეიძლება.

## თაკო ჩარკვიანი: „ხმები უნდა დავიცვათ არჩევნების შემდეგ კი არა, ახლავე“

პარტია „კანონი და სამართალი“ 19 მაისის შუალედურ არჩევნებამდე საპროტესტო აქციებს გეგმავს. ამის შესახებ პარტიის თავმჯდომარე თაკო ჩარკვიანმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, პარტიამ ასეთი გადაწყვეტილება ზუგდიდში გუშინ განვითარებული მოვლენების ფონზე მიიღო.

თაკო ჩარკვიანის თქმით, ნათლად გამოჩნდა, რომ ხელისუფლება ამომრჩევლებისთვის ხმის უფლების წართმევას ცდილობს, რასაც „კანონი და სამართალი“ არ დაუშვებს.



– ვინაიდან ამის საშიშროება შეიქმნა, ვფიქრობთ, ხმები უნდა დავიცვათ არჩევნების შემდეგ კი არა, ახლავე, ეს ყველაფერი წინასწარ უნდა მოხდეს. დავაანონსეთ და ახლა უბრალოდ რაღაც ორგანიზება ხდება, ზუგდიდშიც და საქართველოშიც ჩვენ დავიცავთ ხმებს. თუ დაგვჭირდება კარვებში დავსხდებით. 21-ე საუკუნეა და უბრალოდ უხერხულია. ვხედავთ, რომ ასეთი არადემოკრატიულობით ხდება ქართული სახელმწიფოებრიობის დაშლა და მისი გადაბარება რუსეთისთვის. ამას, უბრალოდ, არ დავუშვებთ, – განაცხადა თაკო ჩარკვიანმა.

თაკო ჩარკვიანმა ასევე კომენტარი გააკეთა მედიაში გუშინ გავრცელებულ ფარულ ჩანაწერთან დაკავშირებით, სადაც ჩანს, რომ „ქართული ოცნების“ წევრი და ზუგდიდის საკრებულოს დეპუტატი გია დანელია მეორე პირს უხსნის, წინასაარჩევნოდ რა დავალებები მიიღეს „ზევიდან“.

თაკო ჩარკვიანის თქმით, პარტიამ უკვე მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციებს ფარულ ჩანაწერთან დაკავშირებით. ვიდეომასალის ავთენტურობის დადგენასა და მისი ნამდვილობის შემთხვევაში, „კანონი და სამართალი“ ჩანაწერში ფიგურანტი პირის პასუხისმგებლობის საკითხის დასმას ითხოვს.

## ქანთარია: „ძალიან გიხდებათ ბატკნის ქურქი“



„ძალიან გიხდებათ ბატკნის ქურქი, მაგრამ აქ ჩანს ბრჭყალები“ – ამ განცხადებით საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ნუკრი ქანთარიამ ოპოზიციას მიმართა.

ქანთარიამ სიტყვით გამოსვლისას წინასაარჩევნო გარემო შეაფასა და ოპოზიციის ბრალდებებს უპასუხა შუალედური არჩევნების გაყალბების მცდელობის შესახებ.

მმართველი გუნდის დეპუტატმა იმედი გამოთქვა, რომ არჩევნები „წიოკის“ გარეშე ჩაივლის.

– ბოლო ხანებში მე ვხედავ უკვე გარკვეულ მიზანმიმართულ ქმედებას ნაციონალური მოძრაობის ორივე ფლანგიდან, რომლებიც მაქსიმალურად ცდილობენ, სიტუაცია გადაიყვანონ აბსოლუტურად სხვა სიბრტყეში. ვფიქრობ, სამართალთან მათი საუბარი არის გამორიცხული, თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ძალიან გიხდებათ ბატკნის ქურქი, მაგრამ აქ ჩანს ბრჭყალები, რომელიც მოჭრილია, მაგრამ მეტ-ნაკლებად იზრდება, მაგრამ ეს არ გაძლევთ საშუალებას იმისას, რომ სამართლიანობის ის თეზები, რომლებიც თქვენ მოგაქვთ ხოლმე, ხალხმა დაიჯეროს.

ალბათ სხვა ხერხებზე უნდა გადახვიდეთ და დაემორჩილოთ იმ წესებს, რა წესებიც მიღებულია საერთაშორისო სამართლით. მცდელობა არის სწორედ როგორც სამეგრელოში, ისე სხვა კუთხეებში, ვხედავ ამ შუალედურ არჩევნებზე. ეს არჩევნები მაინც არის პრინციპული არჩევნები და, დარწმუნებული ვარ, რომ სამეგრელოს მოსახლეობა არ გააცინებს მტერს, – განაცხადა ქანთარიამ.

## „ტირიონ ლანისტერის ჭკუა არ სჭირდება იმის მიხვედრას, როგორ მანიპულირებს მთავრობა რიცხვებით“



ტირიონ ლანისტერის ჭკუა არ სჭირდება იმის მიხვედრას, როგორ მანიპულირებს მთავრობა რიცხვებით, – ასე გამოეხმაურა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე „ევროპული საქართველოს“ დეპუტატი ზურაბ ჭიაბერაშვილი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მიხეილ ბატიაშვილის მიერ გუშინ გაჟღერებულ ინიციატივას:

– კოლეგებო, ტირიონ ლანისტერის ჭკუა არ სჭირდება იმის მიხვედრას, როგორ მანიპულირებს მთავრობა დღეს რიცხვებით. ეს ყველაზე კარგად გამოჩნდება, თუ ვნახავთ, რეალურად რას გულისხმობს მასწავლებლებისა და პედაგოგებისთვის ხელფასების ზრდა, რითაც აქ ქალბატონი მარიამ ჯაში გამოდიოდა. სინამდვილეში, ხელფასების ზრდა, თუ ავიღებთ პედაგოგებს, რომლებსაც სტატუსი აქვთ, ეკუთვნის 26.000 მასწავლებელს, მაშინ, როდესაც დაანონსებული ხელფასების ზრდა შეეხება მხოლოდ 5.869 პედაგოგს, ანუ პედაგოგთა მთლიანი რაოდენობის მხოლოდ 10%-ს, – განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

წასვლის სანაცვლოდ ორი წლის ჯამური ხელფასს სთავაზობს განათლების მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი საპენსიო ასაკს მიღწეულ პედაგოგებს, რომლებსაც მინიმალური კომპეტენციის დადასტურებისა და სტატუსის ამაღლების სურვილი არ ექნებათ.

## ზუგდიდში პოლიტიკური ომი დაიწყო

დასაწყისი მე-2 გვერდზე



დატურა მთავარმა მეოცნებემ დაიწუნა. თუმცა, მას მისცეს პირობა, რომ საპარლამენტო არჩევნებში ზუგდიდის მაჟორიტარად წარადგენენ.

ირაკლი ჩიქოვანის განცხადებით, არჩევნები მშვიდობიანად უნდა ჩატარდეს. ამიტომ ის ყველას სიმშვიდისკენ მოუწოდებს.

„ოცნების“ მერობის კანდიდატის საარჩევნო შტაბის უფროსის თქმით, პირი, რომელიც აღბეჭდილია ფირზე, დაკავებულია, თუმცა არაფერს ამბობს დანარჩენ პირებზე, რომლებიც პროვოკაციაში მონაწილეობდნენ და პოზიციამ მათი იდენტიფიცირება შეძლო.

ჩიქოვანის მტკიცებით, პროვოკაციები უცხო არ არის ნაციონალებისთვის, ამბობს, რომ ყოფილი ხელისუფლება ასე ცდილობს, გადაფაროს არჩევნების წაგება. ჩიქოვანი დარწმუნებულია, რომ ზუგდიდის არჩევნებს „ოცნება“ მოიგებს.

– ჩვენი შტაბი და მთლიანად „ქართული ოცნება“ ემიჯნება ნებისმიერი სახის ძალადობას. მისასალმებელია, რომ სამართალდამცავებმა იმოქმედეს ძალიან სწრაფად და პირი, რომელიც აღბეჭდილია ფირზე, დაკავებულია.

თუმცა, ჩვენ ვხედავთ, რომ ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ძალიან ბევრ პროვოკაციას აქვს ადგილი. პროვოკაციებით ენმ ცდილობს, გადაფაროს უკვე წაგებული არჩევნები. ისინი ცდილობენ, საზოგადოება წამოაგონ პროვოკაციაზე და ჩაითრიონ ძალადობრივ კამპანიაში, – ამბობს ირაკლი ჩიქოვანი.

გეგა შენგელიას შტაბის ხელმძღვანელმა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებს მოუწოდა, ჩამოვიდნენ ზუგდიდში და გაეცნონ საარჩევნო პერიოდს.



## „აიღეთ საჩუქრები, რომლებსაც ბიძინა ივანიშვილი არჩევნების წინ მათხოვრებივით გიგდებთ, მაგრამ ხმა „ქართულ ოცნებას“ აღარასოდეს მისცეთ!“

„აიღეთ საჩუქრები, რომლებსაც ბიძინა ივანიშვილი არჩევნების წინ მათხოვრებივით გიგდებთ, მაგრამ ხმა „ქართულ ოცნებას“ აღარასოდეს მისცეთ!“ – ასე მიმართა ენმ-ს წევრმა, დეპუტატმა სალომე სამადაშვილმა ამომრჩევლებს პარლამენტის პლენარული სხდომიდან.

– ხალხის ჯიბიდან ამოღებულ საბიუჯეტო სახსრებს კარგად განკარგავთ საკუთარი პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნებისათვის. ზუგდიდში ვნახე გალატაკებული მოსახლეობა, მოხუცები, რომელთა შვილებიც ლუკმა-პურის საშოვნელად ქვეყნიდან არიან გაქცეული და თქვენ ფიქრობთ, რომ ქართველ ხალხს 150 ლარად იყიდით. საქართველო და საქართველოს მომავალი გაცილებით ძვირი ღირს, – განაცხადა სალომე სამადაშვილმა.

# ბელა ნიკოლაიშვილი: „საქართველოში არეულობის მოწყობა ბევრს უნდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს იურისტი, უფლებადამცველი **გელა ნიკოლაიშვილი** პასუხობს.

***– ბატონო გელა, საკმაოდ ფაქიზი და მტკივნეული თემაა მაჩალიკაშვილის საქმე. როგორც იურისტი, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში ამ საქმის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს. საზოგადოებამ მოისმინა სუს-ის განცხადებები, ლამის ტერორისტად გამოიყვანეს მალხაზ მაჩალიკაშვილი, თუმცა დღეს ეს კაცი გარეთ არის. საზოგადოება დაიბნა, რა ხდება? თუ დამნაშავეა, ბრალი რატომ არ წაუყენეს და თუ არ არის, რას ნიშნავდა ეს განცხადებები?***

– რა თქმა უნდა, არაორდინალური ვითარებაა, ერთი მხრივ, განცხადებებს თუ დავუჯერებთ, თითქმის მართლაც ტერორიზმისთვის საკმარისი მტკიცებულებები არსებობს და მეორე მხრივ, არავინ მას ბრალს არ უყენებს. საერთოდ არსებობს რამდენიმე სტადია, როდესაც ადამიანს უყენებენ ბრალს.

***– კერძოდ?***

– თავიდან აუცილებელი არ არის იყოს მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაასაბუთებს იმას, რომ ესა თუ ის ადამიანი არის დამნაშავე. ეს არის მხოლოდ ბოლო ეტაპზე, როდესაც სასამართლოს გამოაქვს განაჩენი. არსებობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, რომელიც ვარაუდის დონეზე შეიძლება ამტკიცებდეს, რომ ესა თუ ის პიროვნება, სავარაუდოდ, შეიძლება იყოს დამნაშავე, მაგრამ სულ დაბალი სტანდარტით, ეს არის საფუძვლიანი ეჭვის სტანდარტი.

**„ძალიან ბევრი ადამიანი შეიძლება იყოს დაინტერესებული, რომ აქ სიტუაცია აირიოს. უდავოდ, ან ერთის, ან მეორის სიკვდილი გამოიწვევს სიტუაციის არევას. პირველ რიგში ერთმანეთისკენ გაიშვერენ ხელს. ამიტომ, რა თქმა უნდა, ეს პასუხისმგებლობაც უნდა აიღოს უსაფრთხოებამ, რომ ერთიც და მეორეც დაცული იყოს და, აქედან გამომდინარე, დაცული იყოს სახელმწიფო არეულობისაგან“**

***– ეს რას ნიშნავს?***

– საფუძვლიანი ეჭვი თუ არსებობს, ესეც საკმარისია ბრალის წასაყენებლად. საფუძვლიანი ეჭვი, ეს ნიშნავს იმას, რომ თუნდაც რაღაცა ერთი მტკიცებულება აქვს გამოძიებას, ამ ეჭვის საფუძველზე იწყებენ გამოძიებას. ანუ სისხლის სამართლებრივი დევნა ჯერ არ არის დაწყებული არავის მიმართ, მაგრამ საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ დანაშაულთან გვაქვს საქმე, ეს უკვე არის საკმარისი.

***– მაშინ რა ხდება, რატომ აღარ მიდის საგამოძიებო ღონისძიება? არასაკმარისი მტკიცებულებაა?***

– ეს ჩანაწერები უკვე იძლევა საფუძვლიანი ეჭვის სტანდარტს. იმიტომ, რომ აქ ლაპარაკი იყო გოგაშვილზე, მის ოჯახზე, სასაფლაოს მოძებნაზე, თვალთვალზე. ჩვენ არ ვიცით სხვა რა მაგალითები აქვთ, სხვა რა მტკიცებულებები აქვს გამოძიებას, მაგრამ ეს საფუძვლიანი ეჭვია, რომ გამოძიება დაეწყოთ, ან თუნდაც ბრალი წაეყენებინათ...

***– თუ ასეა, რატომ იხევს უკან გამოძიება?***

– ამაშია საქმე, რომ ამერიკაშიც და ევროპაშიც, როდესაც ტერორიზმზეა ლაპარაკი, ეს სავსებით საკმარისი იქნებოდა არა მხოლოდ საფუძვლიანი ეჭვისთვის, არამედ უფრო მაღალი სტანდარტისთვისაც. იქ ძალიან ფრთხილად უყურებენ ამ საკითხს. ჩვენთან, ამათ ჩათვალეს, რომ საფუძვლიანი ეჭვის გამო ვიწყებთ გამოძიებას, ოღონდ თავს იკავებენ, რომ ბრალი წაუყენონ. ბრალის წაყენება არ ნიშნავს მაინცდამაინც დაპატიმრებას. ბრალდებულად ცნობის შემდეგ, აღმკვეთი ღონისძიების სახეზე უნდა იმსჯელოს სასამართლომ. შეუძლია საერთოდ აღმკვეთი ღონისძიების გარეშეც დატოვოს, ან გირაო შეუფარდოს, ან პატიმრობა.

***– ანუ უნდა წაეყენებინათ?***

– სავსებით შესაძლებელი იყო ამ ადამიანისთვის წაეყენებინათ ბრალი, აღმკვეთი ღონისძიების გარეშე დაეტოვებინათ, ან შეეფარდებინათ გირაო. ამით მაჩალიკაშვილი გარკვეულ უფლებებსაც მოიპოვებდა.

***– რას გულისხმობთ?***

– მაგალითად, დღეს მაჩალიკაშვილს არა აქვს უფლება, რომ დანიშნოს ექსპერტიზა, იმიტომ, რომ ბრალდებული არ არის, მხარე არ არის. მაჩალიკაშვილი თავიდან ხომ იძახდა, რომ დამონტაჟებულია, ჩემი საუბარი არ არის და ასე შემდეგ, მას შეეძლო ეს დაედგინა ექსპერტიზით. აქედან გამომდინარე, არ ვიცი, რა ხდება.



**„სავსებით შესაძლებელი იყო, ამ ადამიანისთვის წაეყენებინათ ბრალი, აღკვეთის ღონისძიების გარეშე დაეტოვებინათ ან შეეფარდებინათ გირაო. ამით მაჩალიკაშვილი გარკვეულ უფლებებსაც მოიპოვებდა“**

***– რამდენად იყო მცდელობა მისი დისკრედიტაციის?***

– ის ფაქტები, რაც არის მოპოვებული, თუნდაც ის ფაქტები, რაც გამჟღავნდა მისი შვილის მიმართ, იგივე ვიდეოჩანაწერები, აუდიოჩანაწერები, ფეისბუქის მიწერ-მოწერა, თემირლანის მამა ამაზე ამბობს, რომ ხუმრობდაო. ხუმრობდა თუ არ ხუმრობდა, ეს უკვე იძლევა საფუძვლიან ეჭვს, თუმცა დამნაშავედ სასამართლომ უნდა გამოაცხადოს. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ამას ადამიანის დისკრედიტაციაც მოყვება, როდესაც ადამიანს რაღაცაში ამხელენ, რა თქმა უნდა, ეს მისი დისკრედიტაცია არის. შესაძლოა პირველადი იყოს პოლიტიკურად მისი დისკრედიტაცია და მეორადი სამართლებრივი და შესაძლოა, პირიქით. რისი სურვილი აქვს ხელისუფლებას ახლა ჩვენ ამის გარჩევას ვერ შევუდგებით, მაგრამ რეალობა არის ის, რასაც მე გეუბნებით. ასევე ფაქტია ის, რომ აი ეს მოცემულობები გვაქვს.

***– რამდენად ემუქრება საფრთხე გოგაშვილის და მაჩალიკაშვილის სიცოცხლეს? როგორც ამას თავად გოგაშვილი აცხადებს?***

– ძალიან ბევრი ადამიანი შეიძლება იყოს დაინტერესებული იმისთვის, რომ აქ სიტუაცია აირიოს. უდავოდ, ან ერთის ან მეორის სიკვდილი გამოიწვევს სიტუაციის არევას. პირველ რიგში ერთმანეთისკენ გაიშვერენ ხელს. ამიტომ, რა თქმა უნდა, ეს პასუხისმგებლობაც უნდა აიღოს უსაფრთხოებამ, რომ ერთიც და მეორეც დაცული იყოს და აქედან გამომდინარე დაცული იყოს სახელმწიფო არეულობისაგან.

***– ანუ საფრთხის შემცველ ნიშნებს თქვენც ხედავთ?***

– შიდა თუ გარე ძალები, ძალიან ბევრია აქ არეულობით დაინტერესებული, რაც ქვეყნის დასუსტებას გამოიწვევს. ჩვენ თუ ვიცით, მათ, მით უმეტეს, იციან, რომ ან ერთის ან მეორის სიკვდილი არეულობას გამოიწვევს, რა თქმა უნდა, აქედან გამომდინარე შეიძლება იყვნენ სამიზნეები. ეს სულ არ არის გასაკვირი და ამას დიდი ანალიზი და სიღრმეებში ჩასვლა არ სჭირდება.

***– ჩიხში ხომ არ არის შესული გამოძიება? ჯერ გააკეთეს ასეთი მწვავე განცხადებები, ახლა ვეღარ მოქმედებენ.***

– მათი განცხადებები, რომ ჩვენ პრევენცია გავაკეთეთ, აღვკვეთეთ დანაშაული და ასე შემდეგ, მე ეს არადამაჯერებელი მგონია, იმიტომ, რომ როდესაც არის ასეთი მოცემულობა, როგორც მინიმუმ, უნდა მოხდეს ბრალის წაყენება და შემდგომ, გამოძიების დროს, სავსებით შესაძლებელია არ დადასტურდეს. მე ამ კაცის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ეს ყველაფერი არც ლოგიკაში ჯდება და არც სამართლებრივ ჩარჩოებში. როგორც ჩანს, გამოძიება ფრთხილობს და იმისაც ეშინია, სასამართლომ არ გაამართლოს და ეს ახალი პოლიტიკური განცხადებების საბაბი არ გახდეს.

# აღიარებს თუ არა ირანი ცხინვალის დამოუკიდებლობას

## ანატოლი ბიბილოვი: „გვინდა, რომ თეირანმა გვაღიაროს“

შორენა მარსაგიშვილი

მანამ, ვიდრე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ქონების მოხვეჭით არიან დაკავებული, სულ უფრო და უფრო იზრდება ცხინვალისა და სოხუმის დამოუკიდებლობის აღიარების შანსები. ამღიარებლებს, შესაძლოა, ირანიც შეუერთდეს.

ამასთან დაკავშირებით დიდი მოლოდინები აქვს ცხინვალის მეთაურ ანატოლი ბიბილოვს. ირანული ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში ამ პერსონამ განაცხადა, რომ თეირანისგან სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ელოდება.

ირანელების გულის მოსაგებად ბიბილოვმა ოსთა და ირანელთა ნათესაურ წარმომავლობაზეც ისაუბრა და ოსური ენა კინაღამ ირანულ ენად გამოაცხადა.

– ირანი ოსებისთვის ახლობელი სახელმწიფოა. ჩვენი ენა ინდოევროპულ ენებს მიეკუთვნება. ბევრი საერთო გვაქვს, მათ შორის ტრაგიზმი და, რასაკვირველია, კარგი იქნებოდა ირანთან ურთიერთობების დამყარება. ამ ნაბიჯების მცდელობა არსებობს და იქნება მომავალშიც. გვინდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, ირანმა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა აღიაროს.

პოლიტიკური ურთიერთობების გარეშეც არსებობს კულტურა, რომელზეც პოლიტიკა ნაკლებად ახდენს გავლენას. კარგი იქნებოდა, ჩვენი ნაციონალური ანსამბლი „სიმდი“ წასულიყო ირანში კონცერტის ჩასატარებლად. ირანიდანაც რომ ჩამოსულიყვნენ და პერსპექტივაშიც პოლიტიკური ურთიერთობებიც დალაგდება.



ისტორიულმა კავშირებმა უნდა უბიძგოს ირანს, ეს გააკეთოს. მოსკოვში ჩვენი საელჩოები მეგობრობენ კარგად და ამ მიმართულებებით კიდევ ბევრს ვიმუშავებთ, – აღნიშნა ბიბილოვმა.

ეს ამაღელვებელი ინტერვიუ ბიბილოვმა ცხინვალში მყოფ ირანელ ჟურნალისტებს მისცა. ირანული მედიის წარმომადგენლები ოკუპირებულ ჩრდილოეთ ქართლში პრესტურის ფარგლებში ჩავიდნენ. ეს პრესტური ცხინვალის ხელისუფლებამ რუსეთის დაფინანსებით მოაწყო. მის ფარგლებში რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონს ირანელი და სამხრეთამერიკელი ჟურნალისტები ესტუმრნენ.

ბიბილოვმა ინტერვიუები ლათინოამერიკელებსაც მისცა, მაგრამ მათთვის აღიარება აღარ უთხოვია – რუსეთის ჩართულობით ნიკარაგუამ და ვენესუელამ მათი დამოუკიდებლობა უკვე აღიარეს.

ირანულ მედიასთან საუბარში სამხრეთელ ოსთა ლიდერმა ამერიკელებიც დაგმო. მისი თქმით, აშშ თეირანს სულ ტყუილად ემუქრება სანქციებით.

– რატომ უნდა დააწესოს აშშ-მ ახალი სანქციები? ირანმა ხომ ყველა პირობა შეასრულა. აშკარაა, ამერიკას სურს, რომ ირანი მას დაუწვეს, – აღნიშნა ბიბილოვმა.

მისივე თქმით, დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევა.

– იმას, რასაც აშშ აკეთებს, რუსეთი არასდროს იკადრებს. მას შეიძლება არ მოსწონდეს ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლება, მიაჩნდეს, რომ მისი შეცვლა აუცილებელია, მაგრამ მათ საქმეებში არ ერევა, რადგან მიაჩნია, რომ ხელისუფლება დემოკრატიული გზით – არჩევნებით უნდა შეიცვალოს, – განაცხადა ცხინვალელთა ლიდერმა.

ამდენი უნამუსო სიცრუის გადმოფრქვევის გამო მის ღაწვებს სიწითლეც კი არ შეჰპარვია.

# ვინ ჩაანაცვლა მამუკა ხაზარაძე „თიბისი ბანკში“

„თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს.



ამის შესახებ ინფორმაცია აქციონერებისთვის ინგლისურ ენაზე უკვე გამოქვეყნდა. კერძოდ, ჯგუფის გადაწყვეტილებით, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე მამუკა ხაზარაძეს იურკი კოსკელო ჩაანაცვლებს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, იურკი კოსკელო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ძირითადად განვითარებად ბაზრებზე მოქმედი კომპანიების: აფრიკის სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის საინვესტიციო ფონდის, ექსპო ბანკისა (EXPO Bank) და ეფაი ბანკის (FI Bank) სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. იურკი კოსკელო ამავე დროს არის ინვესტ სოლარის (ბოტსვანაში მზის ენერგიაზე ფოკუსირებული საინვესტიციო ფონდის) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

აღნიშნული პოზიციების დაკავებამდე, იურკი კოსკელო 24 წლის განმავლობაში რამდენიმე წამყვან პოზიციაზე მუშაობდა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციაში (IFC), რომელიც მსოფლიო ბანკის ჯგუფის ნაწილია. 2000 წელს იურკი კოსკელო საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის სპეციალური აქტივების მართვის დეპარტამენტის დირექტორად მუშაობდა, 2004 წელს – გლობალური ფინანსური ბაზრების დირექტორად, 2007 წელს – ვიცე-პრეზიდენტად და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ტოპ მენეჯმენტის კომიტეტის წევრად, 2011 წელს კი გენერალური დირექტორის საგანგებო მრჩევლის პოსტს იკავებდა.

იურკი კოსკელო ფლობს სლოუნის მენეჯმენტის სკოლის მაგისტრის ხარისხს, ჰელსინკის ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკის მაგისტრის ხარისხს ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით (MIT), ასევე მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხს სამოქალაქო ინჟინერიაში (M.Sc.).

შეგახსენებთ, რომ მამუკა ხაზარაძემ ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოსტი მიმდინარე წლის თებერვალში დატოვა.

რასაც წინ უძღოდა, 8 იანვარს გავრცელებული ინფორმაცია, რომ პროკურატურამ თიბისი ბანკიდან დოკუმენტები ამოიღო. მაშინ პროკურატურამ განმარტა, რომ თიბისი ბანკის 2008 წლის აქტივობები შეიცავდა ფულის გათეთრების ნიშნებს. ამ საქმესთან დაკავშირებით, 13 თებერვალს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადაყენება მოითხოვა.

bpn

# ლევან ჩაჩუა: „ივანიშვილს ახალი სახეები სისტემის შესანარჩუნებლად დასჭირდა“

## „მახათას მთაზე ჯერ სააკაშვილის ლუსტრირება მოხდა, ახლა – ბახტაძის“

მარიამ მჭედლიშვილი

აქტუალურ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ **ლევან ჩაჩუას.**

***– ახალი სახეების შერჩევა „ქართული ოცნებისაგან“ პირველად არ გვესმის. ამჯერად კადრებს მარტო კი არ იზიდავენ, არამედ, ატრენინგებენ კიდეც. ვარჯიშის შედეგად ადამიანების პოლიტიკაში ჩართვა ანომალია არ არის?***

– როგორ არ არის! „ქართულმა ოცნებამ“ მოსვლისთანავე დაიწყო უცნაურობების დანერგვა და თავი გამოიჩინა თავისი უუნარობით. ივანიშვილს ახალი სახეები სისტემის შესანარჩუნებლად დასჭირდა. ეს მანკიერი და ქვეყნის დამანგრეველი სისტემა შევარდნაძის დროიდან მოგვდევს. ივანიშვილი ყველა ღონეს ხმარობს, რომ ეს სისტემა, რომლის შექმნაში თვითონაც წვლილი მიუძღვის, არ შეიცვალოს.

***– რატომ უნდა ებღაუჭებოდეს ივანიშვილი ამ სისტემას?***

– ივანიშვილი მონაწილეობდა შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლაში.

***– სააკაშვილ-ივანიშვილის ძველი თანამშრომლობის ამბავი ცნობილია. შევარდნაძესთან კავშირზე რაიმე ინფორმაცია გაქვთ?***

– ამის დოკუმენტები არ არსებობს, მაგრამ ანალიზი ამ დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა. იმ დროს, როცა შევარდნაძე მოსკოვიდან დაბრუნდა საქართველოში, საბჭოთა კავშირში ოლიგარქები თითქმის ყველაფერში ერეოდნენ. გამორიცხულია, რომ ივანიშვილს შევარდნაძესთან და მის დაბრუნებასთან არაფერი საერთო არ ჰქონოდა. ამჟამად ივანიშვილი ამოცანაა ძალაუფლების შენარჩუნება. რეიტინგის განულების პირობებში ეს სულ უფრო უძნელდება. სისტემის შენარჩუნებისა და განმტკიცების გარეშე ეს კაცი საწადელს ვერ მიაღწევს. ამიტომ, ქმნის პარტიის გადახალისების შთაბეჭდილებას. ახალი სახეების მოსვლით არაფერი შეიცვლება, მაგრამ ამით ხალხისთვის თვალის ახვევა უნდათ.

***– გგონიათ, რომ ივანიშვილს ძალაუფლების შენარჩუნება უნდა?***

– ივანიშვილი საქართველოში თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. ის უკვე ვერც რუსეთში დასახლდება და ვერც საფრანგეთში. მას ყველაფრის კონტროლი უნდა. ძალაუფლების შენარჩუნებას არაფორმალური მმართველი სხვადასხვა გზით ცდილობს.

***– რა გაქვთ მხედველობაში?***

– ჯერ ირაკლი ღარიბაშვილი დააბრუნა, მაგრამ ამით ხალხის გული ვერ მოიგო. მერე აალორძინა მიძინებული „დაიცავი საქართველო“. საზოგადოებამ ამას თავიდანვე ეჭვით შეხედა, ამ ორგანიზაციის შეკრებაზე კი ძველი, მათ შორის, ოდიოზური სახეების ნახვით ძალიან გაღიზიანდა. ამით რომ ვერაფერს მიაღწია, ივანიშვილმა პარტიაში დაიწყო ადამიანების მოზიდვა. არა მგონია, საზოგადოება ამით მოტყუვდეს. ხალხი ხვდება, რომ სისტემაა შესაცვლელი. სისტემის ძირფესვიან გარდაქმნაზე ჩვენ გარდა არავინ ლაპარაკობს. ამაზე „ქართულ იდეასთან“ ერთად საუბრობენ დიმიტრი ლორთქიფანიძე, გურამ ფალავანდიშვილი, გურამ ქართველიშვილი და ხათუნა მაჭავარიანი. თუ არსებული სისტემა მთლიანად გარდაიქმნა, ოლიგარქები და მარიონეტები ველარ მართავენ ქვეყანას.



***– მოახლოებულ შუალედურ არჩევნებზე რისი თქმა შეიძლება? ნაციონალური მოძრაობა აცხადებს, რომ ოპოზიციის გამარჯვება ზუგდიდიდან იწყება.***

– ზუგდიდის მერის შუალედურ არჩევნებს კი არა, საპრეზიდენტოს არა აქვს მნიშვნელობა ამ დამყაყებულ სისტემაში. ჩვენთვის „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ერთი მედლის ორი მხარეა. ორივე ლიბერალური ინტერნაციონალიდან იმართება. მათ ერთმანეთში შიდა უთანხმოებები აქვთ, თორემ, ორივე ერთნაირი მარიონეტია. არც ერთს გაუკეთებია რამე საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და სულიერი განვითარებისთვის და არც მეორეს. მარიონეტების დრო დამთავრდება მაშინ, როცა ხელისუფლებაში ჯანსაღი ძალები მოვლენ. მაშინ ქვეყნის ბედი ოლიგარქის მატერიალურ რესურსებზე აღარ იქნება დამოკიდებული.

**„სხვა გამომსვლელების დროს რატომ არ იყო ტექნიკური ხარვეზი! ბახტაძე სრულიად ბუნებრივად საუბრობდა და ჩანდა, რომ ის ფხიზელი არ იყო. ღვინისაგან კაცი ასე არ აირევა. ეს ხელისუფლება გაება თავისი ნარკოპლანტაციების ბადეში. ნარკოტიკებმა ბოლო დროს ბევრი ოჯახი გააუბედურა. ამათთვის ოჯახი ფასეულობას არ წარმოადგენს. ბახტაძეს ცოლიც კი არ ჰყავს“**

***– სულიერი განვითარება ახსენეთ და მმართველი პარტიის, ხელისუფლების წარმომადგენლები ბოლო დროს საპატრიარქოსაც სტუმრობენ, ეკლესიებშიც დადიან.***

– ადრეც ვამბობდი, რომ არჩევნების წინ „ძლიერნი“ უშველებელი სანთლებით დგანან ეკლესიებში, სხვა დროს კი რელიგიას ებრძვიან. ახლაც გაუჭირდა ივანიშვილს, მის პარტიას და ის მზადაა, დახარჯოს ფული სიწმინდეების, ეკლესიების აღდგენა-მოხატვა-მშენებლობაში. ფარისევლობა არ გამოდის. ეს სააშკარაოზე გამოდის. მახათას მთაზე სასწაულები ხდება – იქ ჯერ სააკაშვილის ლუსტრაცია მოხდა, ახლა კი – ბახტაძის. სააკაშვილი ნარკოტიკებისაგან ისეთი გაბრუებული იყო, რომ პატრიარქის ტახტში ჩაესვენა. ბახტაძე 12 მაისს ენას ძლივს აბრუნებდა პირდაპირ ეთერში.

***– ამაზე გაკეთდა კომენტარები. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გამოაცხადა, რომ ეს უამინდობით გამოწვეული ტექნიკური ხარვეზი იყო.***

– სხვა გამომსვლელების დროს რატომ არ იყო ტექნიკური ხარვეზი! ბახტაძე სრულიად ბუნებრივად საუბრობდა და ჩანდა, რომ ის ფხიზელი არ იყო. ღვინისაგან კაცი ასე არ აირევა. ეს ხელისუფლება გაება თავისი ნარკოპლანტაციების ბადეში. ნარკოტიკებმა ბოლო დროს ბევრი ოჯახი გააუბედურა. ამათთვის ოჯახი ფასეულობას არ წარმოადგენს. ბახტაძეს ცოლიც კი არ ჰყავს.

***– ახალგაზრდაა და ყველაფერი წინ აქვს.***

– ჩვენი უბედურებაც ეგაა, რომ ძალიან ახალგაზრდებს ვსვამთ უმაღლეს თანამდებობებზე. ცოტა ხნის წინ ისრაელის ქნესეტის სხდომას ვუყურებდი. ყველა დეპუტატი ჭაღარა იყო. აშშ-ში თუ კაცს ოჯახი არ აქვს და ის სოლიდური ასაკისა არაა, თანამდებობაზე არ ნიშნავენ. ამ ხელისუფლების ეკლესიურობას არავინ დაიჯერებს. ივანიშვილი როსტომ ხანის საქმის გამგრძელებელია. როსტომ ხანი ფულს ეკლესიებისთვისაც იღებდა, ხიდებსაც აშენებდა. ერთი ხელით ამას აკეთებდა, მეორით კი მეჩეთებს აგებდა და საკუთარ ხალხს რყვნიდა. მის დროს ადამიანები მიეჩვივნენ ღრეობას, თრიაქის წევასა და მამათმავლობას. ივანიშვილს ფხიზელი და გონიერი საზოგადოება არ სჭირდება. გალოთებული, განარკომანებული და უზნეო ხალხი ადვილი სამართავია.

***– ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი გაზრდილია, თუმცა ეს „ოცნების“ რეიტინგს არ ამაღლებს.***

– იმედი აქვთ, რომ უფრო მეტი ადამიანი დაემონება ვნებებს, ესენი კი ძალაუფლებას შეინარჩუნებენ. ამ ხელისუფლებას ჰგონია, რომ 17 მაისიც მორგებული აქვს.

***– რაზე საუბრობთ? 17 მაისს, თბილისში, როგორც წესი, ორი აქცია იმართება.***

– მეც იმას ვამბობ, რომ ერთმანეთის პარალელურად, გვერდიგვერდ, იმართება ორი აქცია. ხელისუფლების ვირეშმაკობა აქაც კარგად ჩანს. მისი წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მხარს უჭერენ ოჯახის სიწმინდის დღეს, მაგრამ, ამავდროულად, ამბობენ, რომ ლგბტ-პირებიც უნდა გამოვიდნენ ქუჩაში თავიანთი უფლებების დასაცავად. ბნელი და ნათელი ერთად ვერ იქნება. ამ მოვლენას შევადარებდი ზნეობრივ ეკუმენიზმს.

***– ეკუმენიზმს ბევრი ბრძოლას უცხადებს.***

– სულიერი ეკუმენიზმის მსგავსად, ზნეობრივი ეკუმენიზმიც მიუღებელია. წარმოიდგინეთ, ერთი მხრივ, მორწმუნეები ვდგავართ ხატებით, მეორე მხრივ, შეკრებილი არიან ლგბტ-პირები სლოგანით „გაფერადდი“. ეს მათი მხრიდან აშკარა ძალადობა და აგრესიული პროზელიტიზმია. ისინი მოითხოვენ, რომ მათი უფლებები სხვებზე მეტად იქნას დაცული. ხელისუფლება ამას ხელს უწყობს. ხელისუფლების ხელშეწყობით, 17 მაისის აქციის გარდა, 18-23 ივნისს ეწყობა ლგბტ-პრაიდი თავისი პერფორმანსებით, დისკოთეკებით, კონფერენციებითა და ღირსების გეიაღლუმით. ეს ხელისუფლების ბრალია. მან ზომები უნდა მიიღოს. თუ ეს ხელისუფლებას გავუტარეთ, მერე უარესს დაგვმართებენ და საფრთხეში ჩაყრიან ჩვენს შვილებსა და მათ მომავალს.

# ვახტანგ ძაბირაძე: „ზუგდიდში მომხდარი ინციდენტი არასტაბილური ვითარების განცდას ქმნის“

ზუგდიდში მომხდარი ინციდენტი არასტაბილური ვითარების განცდას ქმნის და ჯერ არშემდგარ არჩევნებს უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს!

ამის შესახებ ექსპერტმა ვახტანგ ძაბირაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა.



მან ისაუბრა ზუგდიდში მომხდარი ინციდენტის შესახებ, როდესაც სანდრა რულოვსსა და მასთან ერთად მყოფ პირებს 5 ადამიანი დაესხა თავს.

ექსპერტმა კითხვაზე, რამდენად რეალურია, რომ ეს თავდასხმა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებისგან ყოფილიყო, უპასუხა, რომ მიუხედავად მათი ვინაობისა, თავად ფაქტი ძალიან ცუდი და სასწრაფოდ გამოსაძიებელია.

– გამიჭირდება მტკიცება, ესენი „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები იყვნენ, მოსყიდულები იყვნენ, თუ ვინ იყვნენ, მაგრამ ფაქტი, რაც მოხდა, არის ძალიან ცუდი. ეს ცუდია როგორც ხელისუფლებისთვის, ისე „ნაციონალური მოძრაობისთვის“ და ზოგადად, ქვეყნისთვის, რადგან ქმნის არასტაბილური ვითარების განცდას და ჯერ არშემდგარ არჩევნებს უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ეს იძლევა საშუალებასა და საბაბს, რომ არჩევნების შედეგებზე უკვე ლაპარაკი იყოს, როგორც არასამართლიანზე. არასტაბილურ გარემოში შეიძლება, სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს? მეორე მხარეა, რომ რამდენადაც ინფორმირებული ვარ, რულოვსი და მისი ჯგუფი იქ აწარმოებდა ფოტო და ვიდეო მასალის გადაღებას. შესაბამისად, ხალხი, ვინც იქ მივიდა, დაფიქსირებულია. ხელისუფლების პირდაპირი მოვალეობაა, რომ ეს საქმე სასწრაფოდ გამოიძიოს და დასვას წერტილი, თუ ვინ ვინ არის. თუ ამას ეს ხელისუფლება არ გააკეთებს, ის პასუხისმგებელი მხოლოდ ამ ინციდენტზე კი არა, 2019 წელს მომხდარ ყველა ინციდენტზე იქნება და არა მარტო ზუგდიდის რაიონში, – განუცხადა ძაბირაძემ „ინტერპრესნიუსს“.

მისივე თქმით, ზუგდიდი მნიშვნელოვანია, თუმცა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებსა და ამჟამინდელ და ყოფილ ხელისუფლებას შორის დაპირისპირებას მეტი ფასი აქვს.

– თავისთავად ზუგდიდი მნიშვნელოვანია, მაგრამ შესაძლოა, იმდენად მნიშვნელოვანი არ იყოს, რომ არა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები და რომ არა დაპირისპირება ყოფილ და ახლანდელ ხელისუფალთა შორის, რომელსაც გაცილებით მეტი ფასი აქვს, ვიდრე ზუგდიდის მერობის სავარძელს. ეს დიდ გავლენას მოახდენს ქვეყანაში პოლიტიკურ ბალანსზე და ვითარებაზე, და რა თქმა უნდა, 2020 წლის არჩევნების შედეგებზეც და პროცესებზეც. „ქართულ ოცნებას“ არც აქ და არც სხვა რეგიონებში აქვს დამარცხების უფლება, რადგან ნებისმიერი მისი მარცხი ოპოზიციის მიერ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის იქნება გამოყენებული, – აღნიშნა ექსპერტმა.

# გიორგი ვაშაძე: „ეს არის უმსგავსობა და შეურაცხყოფა თითოეული ამომრჩევლის. შეხედეთ, სადამდე დაეცა ქოცთა ხელისუფლება“

გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ზუგდიდში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. გიორგი ვაშაძის თქმით, „ქართულ ოცნებას“ არჩევნები წაგებული აქვს და სწორედ ამიტომ, ისინი ცდილობენ სხვადასხვა არაკეთილსინდისიერი ქმედებებით დააშინონ ოპოზიციის მხარდამჭერები.



– ეს არის უმსგავსობა და შეურაცხყოფა თითოეული ამომრჩევლის. შეხედეთ სადამდე დაეცა ქოცთა ხელისუფლება. „ქართული ოცნება“ ცდილობს მაქსიმალურად დააშინოს გაერთიანებული ოპოზიციის მხარდამჭერები. ხან აშანტაჟებენ მოქალაქეებს, ხან კიდევ მათ მოსყიდვას ცდილობენ. ბიძინა ივანიშვილის კანდიდატს წაგებული აქვს არჩევნები ზუგდიდში და ეს არც ოცნებისთვისაა სიახლე, სწორედ ამიტომ, ისინი სხვადასხვა პროვოკაციებზე მიდიან. ის, რაც დღეს ზუგდიდში მოხდა, არის სამარცხვინო და მეტყველებს იმაზე, რომ ოცნება აგონიაშია. ბიძინა ივანიშვილს მობილიზებული ჰყავს პოლიცია, სუსი, მათი აგენტები. ეს ადამიანები, რომლებიც დღევანდელ ინციდენტში მონაწილეობდნენ, წარსულშიც არაერთხელ გვინახავს გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატისა და მხარდამჭერების წინააღმდეგ დადგმულ პროვოკაციებში. ჩვენ, თითოეული მათგანის იდენტიფიცირება მოვახდინეთ და გავასაჯაროვეთ ვიდეოკადრები. დღევანდელი ინციდენტის ერთ-ერთი მონაწილე გელა კვარაცხელია, მონაწილეობდა სოფელ რიყეში, ჩვენს წარმომადგენლებთან მომხდარ დაპირისპირებაშიც. არჩევნების დღეს, 5 ათასამდე ქართველი და უცხოელი დამკვირვებელი ჩამოვა ზუგდიდში. ჩვენ დავიცავთ თითოეულ ხმას. არ მივცემთ ივანიშვილს საშუალებას, გააყალბოს არჩევნები და მოგვპაროს ხმები. 19 მაისს, ზუგდიდში იქნება დამკვირვებლების უპრეცედენტო მობილიზება. მივმართავ ხელისუფლებას, დროულად გამოიძიონ მომხდარი ფაქტი და უმკაცრესად დასაჯონ კანონდამრღვევები, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

# ნიკა გვარამია: „ეს არის სახელმწიფო ბანდიტიზმი. ამის გამო ხელისუფლებას უმძიმესად უნდა აეხეს სახე“



ზუგდიდში განვითარებულ მოვლენებს „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია სოციალური ქსელით აფასებს და წერს:

– რაც არჩევნებზე ზუგდიდში ახლა ხდება, არის სახელმწიფო ბანდიტიზმი. ამის გამო ხელისუფლებას უმძიმესად უნდა აეხეს სახე. უკვე აღარც სანდრაშია საქმე, აღარც ზუგდიდის მერში და აღარც არჩევნებში. სახელმწიფოს მიტაცება ჰქვია ამას და არა – არჩევნები.

# აფხაზეთში რუსი გიდებისთვის მუშაობის აკრძალვას გეგმავენ



აფხაზების უმრავლესობას მოახლოებული ტურისტული სეზონი უფრო აინტერესებს, ვიდრე მოახლოებული საპარლამენტო არჩევნები, რადგანაც ტურიზმს მათთვის გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე უსარგებლო დეპუტატების ვინაობის დადგენა.

ადგილობრივების განწყობებზე დადებითად იმოქმედა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ თურქეთმა 15%-ით გაზარდა დასვენების ღირებულება. შესაბამისად, აფხაზებმა ჩათვალეს, რომ ეს მათ მეტი რუსი ტურისტის მოზიდვის საშუალებას მისცემს.

ყველაფერი ე.წ. აფხაზეთის ტურიზმის მინისტრის მოადგილის ასტამურ ბარციცის განცხადების შემდეგ შეიცვალა. მისი თქმით, აფხაზეთში იმ გიდების მუშაობა აიკრძალება, რომლებიც არ გაივლიან სპეციალურ ატესტაციას და სამინისტროში არ მიიღებენ შესაბამის ნებართვას.

– აფხაზეთის ტურისტული ბაზარი ძალიან საინტერესოა რუსებისთვის. ხშირად იქაური ტუროპერატორები აკომპლექტებენ ჯგუფებს და ისინი არ იცნობენ აფხაზეთის კანონმდებლობას. ჩვენ გვყავს 700 სერტიფიცირებული გიდი და იმის გამო, რომ ბევრი გიდი რუსეთიდან ჩამოდის, მათი დიდი ნაწილისთვის სამუშაო არ რჩება. გამოდის, რომ აფხაზეთი კარგავს როგორც სამუშაო ადგილებს, ასევე საბიუჯეტო შემოსავლებს. თანაც, არ ვიცით, რას უყვებიან ისინი ტურისტებს ჩვენზე, – განაცხადა ასტამურ ბარციცმა.

აფხაზური ტურისტული ბიზნესის წარმომადგენლები ადასტურებენ „რუსულ ექსპანსიას“ გიდების სამყაროში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი თემაა იმის გათვალისწინებით, რომ 2018 წელს აფხაზეთში ჩამოსული მილიონი რუსი ტურისტიდან ნახევარი – ჩამოდის ერთი დღით. ამ ტიპის ვიზიტებში ერთადერთი მოგებული მხარე შესაძლებელია იყოს მხოლოდ გიდი.

თუმცა, ხშირად ასეთი ჯგუფები ჩამოდიან სოჭიდან თავიანთი გიდებით, რაც ბუნებრივად იწვევს ადგილობრივების თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენას.

ამ ინიციატივამ გამოიწვია ცხარე დებატები სოციალურ ქსელებში.

– გიდებმა უნდა ჩააბარონ სპეციალური გამოცდა, უნდა იცოდნენ აფხაზეთის ისტორია და ჩაატარონ ექსკურსიები ქვეყნისადმი სიყვარულით. ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ ჩამოსულ გიდებს და, კაცმა არ იცის, რას ლაპარაკობენ, თანაც ისინი ართმევენ სამუშაოს ადგილობრივებს. სად გინახავთ, მაგალითად, თურქეთში, რომ რუს ტურისტებს ემსახურებოდნენ რუსი გიდები? ასე არ ხდება არსად, რატომ უნდა იყოს გამონაკლისი აფხაზეთი? ვინ იცის ჩვენი ქვეყანა ჩვენზე კარგად? თანაც სოჭში ჩვენი კონკურენტები არიან. რაც უფრო ნაკლებნი ტურისტი ჩამოვა აფხაზეთში, მით უკეთესი მათთვის, – ამბობენ სამინისტროს ინიციატივის მომხრეები.

ერთ-ერთმა ისიც კი განაცხადა, რომ თავად შეესწრო შემთხვევაში, როდესაც რუსი გიდი უყვებოდა ტურისტებს, რომ „აფხაზები ჩამოვიდნენ მთებიდან და გააგდეს მკვიდრი ქართული მოსახლეობა“.

თუმცა, არიან ამ იდეის მოწინააღმდეგეებიც.

– საერთოდ რაზეა კამათი? როგორც შეიძლება დარეგულირება, რომელი გიდი ეყოლება ტურისტულ ჯგუფს? გიდის მომსახურეობის ერთ-ერთი სახეობაა, როგორც ნაყინის ყიდვა – მინდა ვიყიდი, მინდა – არა. რა დროს გიდების რეგულირებაა? – თვლიან ტურიზმის სამინისტროს ინიციატივის მოწინააღმდეგეები.

ასეა თუ ისე, როგორც ჩანს, აფხაზეთში არსებულ საკურორტო პრობლემებს ემატება კიდევ ერთი – ბრძოლა რუს და აფხაზ გიდებს შორის.

ეხოკავკაზა

## ლიბანური უმსხვილესი სამშენებლო კომპანია საქართველოში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით ინტერესდება



საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში, დღეს უმსხვილესი ლიბანური სამშენებლო კომპანია „ჰომანის“ წარმომადგენელს უმასპინძლეს. როგორც „კომერსანტს“ სავაჭრო-სამრეწველო პალატიდან აცნობეს, 30-წლიანი გამოცდილების მქონე კომპანია, ინფრასტრუქტურულ პროექტებს ლიბანში, აფრიკასა და შუა აზიის ქვეყნებში ახორციელებს. „ჰომანი“ გზების, საირიგაციო სისტემების, ხიდებისა და სხვა სპეციფიკის სამშენებლო სამუშაოებზე სპეციალიზდება.

შეხვედრაზე პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორმა გიორგი ვეკუამ საქართველოს საინვესტიციო პოტენციალისა და ქვეყანაში მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, მათ შორის, საგზაო სამუშაოებისა და ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის შესახებ. კომპანიის ბიზნესის განვითარების მენეჯერი ჯორჯიო რიზკი დაინტერესდა საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებებით, ასევე მიიღო ინფორმაცია თავისუფალი ვაჭრობის იმ ხელშეკრულებების შესახებ, რომლებიც ქართული პროდუქციის მრავალმილიონიან ბაზრებზე წვდომას უზრუნველყოფს.

შეხვედრაზე ლიბანური კომპანიის წარმომადგენელმა საქართველოში პოტენციური პარტნიორების მოძიებისა და გრძელვადიანი თანამშრომლობის სურვილი გამოხატა.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით „ჰომანის“ მენეჯერი შეხვედრებს გამართავს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროებში, ასევე შეხვდება ინფრასტრუქტურისა და მშენებელთა ასოციაციის წევრებს.

პალატაში გამართულ შეხვედრას საქართველოს საპატიო კონსული ლიბანში მარსელ-დავიდ ხოზამიც ესწრებოდა.

კომერსანტი

## ეკატერინე მიქაბაძე: „მცირე და საშუალო ბიზნესი ის გამწევი ძალაა, რომელიც ინკლუზიური პროცესის ზრდას უზრუნველყოფს“



საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შეფასების მეთოდოლოგიასა და პირველად შედეგებზე იმსჯელეს სასტუმრო „რედისონში გამართულ გაფართოებულ შეხვედრაზე, რომელშიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, მისი პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის OECD-ის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, ETF-ის, ევროკავშირის, ასევე საქართველოს სამთავრობო და კერძო სტრუქტურების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. შეხვედრა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, ეკატერინე მიქაბაძემ გახსნა.

– ეს არის საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შეფასება, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის დაფინანსების ფარგლებში, მასში მონაწილეობს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, OECD და ასევე პარტნიორი ორგანიზაციები. პირველი შეფასება ჩატარდა 2016 წელს, სადაც საქართველომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ლიდერი პოზიცია დაიკავა და 12 ინდიკატორიდან შვიდში უმაღლესი შეფასება მიიღო. შესაბამისად, ამჟამად მიმდინარეობს პირველადი შედეგების განხილვა 2020 წლის ინდექსისთვის და იმედი მაქვს, მასში ასახული იქნება ის რეფორმები, რომლებიც 2016 წლის შემდეგ გატარდა, – განაცხადა ეკატერინე მიქაბაძემ.

მისი თქმით, უკვე გვაქვს უცხოელი ექსპერტებისგან ძალიან დადებითი გამოხმაურებები, მათ მიერ ასევე დასახელდა ის გამოწვევები, რომელთა აღმოფხვრაზეც მუშაობა მიმდინარეობს. „შეფასება საშუალებას გვაძლევს სწორედ ამ მიმართულებით განვახორციელოთ ჩვენი ღონისძიებები, მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ მცირე და საშუალო ბიზნესის გარემო საქართველოში, რადგან სწორედ ეს არის გამწევი ძალა, რომელიც ინკლუზიურ ზრდას უზრუნველყოფს – განაცხადა მინისტრის მოადგილემ და შეფასებებში ჩართულ ყველა მხარეს განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის.

კომერსანტი

## რატომ გაძვირდა საწვავი?



საწვავი ბოლო ერთი თვის განმავლობაში 10-15 თეთრით გაძვირდა. კერძოდ, ბრენდირებულ ბენზინგასამართ სადგურებზე დღეს მოქმედი მაქსიმალური ფასებია: 1 ლიტრი ევრო-რეგულარი – 2.44 ლარი, პრემიუმი – 2.54 ლარი, სუპერი – 2.64 ლარი, დიზელი – 2.64 ლარი.

საწვავის გაძვირებას, ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე რამდენიმე ფაქტორს უკავშირებს. როგორც ვანო მთვარელაშვილი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნავს, ფასის ზრდა განპირობებულია S&P Global Platts-ის მიხედვით ბენზინისა და დიზელის საწვავზე ფასის მატებით, ამასთან, ეროვნული ვალუტის გაუფასურებით.

– საქართველოში ბოლო პერიოდში საწვავის ფასის ზრდა განპირობებულია S&P Global Platts-ის მიხედვით, ბენზინისა და დიზელის საწვავზე ფასის მატებით. კერძოდ: S&P Global Platts-ის თანახმად, რომლის მიხედვითაც ხორციელდება საქართველოში საწვავის იმპორტი. ბენზინის ფასი წლის დასაწყისიდან გაზრდილია დაახლოებით, 181.75 დოლარით/ტონაზე, ანუ 38.4%-ით 655.0 დოლარამდე/ტონაზე, ხოლო დიზელის ფასი გაზრდილია დაახლოებით, 128.75 დოლარით/ტონაზე, ანუ 25.4%-ით 634.75 დოლარამდე/ტონაზე. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ფასები წინა დღეების განმავლობაში გაცილებით მაღალი იყო.

ასევე, აღსანიშნავია, საქართველოს ეროვნული ვალუტის – ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებით, რომელზეც ასევე დამოკიდებულია საცალო ქსელში არსებული საწვავის ფასი. კერძოდ, წლის დასაწყისში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი, დოლართან მიმართებით, შეადგენდა 2,6727 ლარს და დღეისთვის მისი გაცვლითი კურსი, დოლართან მიმართებით, შეადგენს 2,7435 ლარს.

რაც შეეხება საქართველოს საწვავის საცალო ქსელს, ბოლო ერთი თვის განმავლობაში საწვავის ფასი გაიზარდა ბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურებზე საშუალოდ 10-15 თეთრით ლიტრაზე, – აცხადებს ვანო მთვარელაშვილი.

bpn

## „დაანონსებული ხელფასების ზრდა მასწავლებლების დაახლოებით 10%-ს შეეხება“

განათლების მინისტრმა დააანონსა პედაგოგებისთვის დანამატის ზრდა, რაც არსებულ სიტუაციაში კითხვის ნიშნებს აჩენს და საეჭვოს ხდის აღნიშნული ინიციატივის განხორციელებას, – ასე ეხმაურება „ევროპული საქართველოს“ წევრი სერგო რატიანი განათლების სამინისტროს ახალ ინიციატივას.

მისივე ინფორმაციით, მიმდინარე წლის 7 მაისს კომიტეტზე ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი კაკაურიძემ განაცხადა, რომ 2019 წლის ბიუჯეტში პედაგოგთა ანაზღაურების ზრდა გათვალისწინებული არ არის, თუმცა, ინიციატივის განხორციელების შემთხვევაშიც კი, 57.527 პედაგოგიდან დაანონსებული ხელფასების ზრდა 5.869 მასწავლებელს შეეხება, საერთო რაოდენობის დაახლოებით 10%-ს.



– რამდენიმე წელია ყველა შეხვედრაზე, მათ შორის, ახალი მთავრობის ყველა წარდგენის დროს, მოვუწოდებ მთავრობის შემადგენლობას, დაინტერესდნენ განათლების სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემით. სტატუსის მქონე პედაგოგების ანაზღაურების მოქმედი წესი წარმოადგენს ხელისუფლების მხრიდან უსამართლო ქმედებას, რითაც, ფაქტობრივად, სტატუსიან პედაგოგებს სახელმწიფო ართმევს კუთვნილი ხელფასის დანამატს. პრობლემის მოგვარება დამოკიდებულია მხოლოდ „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ნებაზე, თუმცა წლებია ხელისუფლება უყურადღებოდ ტოვებს საკითხს, რომელიც 26.000-მდე პედაგოგისთვის აღადგენს სამართლიანობას – მიეცეთ კუთვნილი ანაზღაურება.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დარწმუნებით განვაცხადოთ, რომ მასწავლებელთა სახელფასო მატება, თუკი ასეთი საერთოდ განხორციელდა: კვლავ არ გულისხმობს კვალიფიციური პედაგოგების 77%-სთვის კუთვნილი სახელფასო დანამატის გაცემას ან/და სახელმწიფო ბიუჯეტში შესაბამისი თანხების არარსებობის გამო, რეფორმის ფარგლებში დაანონსებული ხელფასის მატება ფორმალური ხასიათის იქნება, რაც გავლენას ვერ მოახდენს პედაგოგთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და ნეგატიურად აისახება როგორც პროფესიული განვითარების მოტივაციაზე, ასევე განათლების ხარისხზეც, – განაცხადა სერგო რატიანმა.

bpn

## 1 კვირაში შემოსავლების სამსახურმა 327 საგადასახადო სამართალდარღვევის ფაქტი გამოავლინა

6-12 მაისს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ, ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიების შედეგად, საგადასახადო სამართალდარღვევის 327 ფაქტი გამოვლინდა.

კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრების მიერ შემოწმდა 3011 გადამხდელი, რის შედეგადაც დაფიქსირდა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევები: საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 85 ფაქტი; ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის გადამხდელად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით განხორციელების 19 შემთხვევა; მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობის 223 ფაქტი.

კომერსანტი

# რუსეთის მოქალაქე თბილისში ნარკოტიკებს ფოტოს უღებდა და ორგანიზატორს უგზავნიდა



შინაგან საქმეთა სამინისტრომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკების გავრცელების რამდენიმე ფაქტი აღკვეთა.

აღნიშნულის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ვლადიმერ ბორცვაძემ გუშინ, 14 მაისს, ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც ბორცვაძემ აღნიშნა, შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს აქტიურ ბრძოლას ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის და გავრცელების წინააღმდეგ.

„ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ინტენსიური ღონისძიებების შედეგად, ნარკოდანაშაულის არაერთი ფაქტი გახსნეს და დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს.

გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია რამდენიმე ფაქტის შესახებ, რომელიც დიდი ოდენობით ნარკოტიკების გავრცელებას უკავშირდება.

სამართალდამცველებმა, თბილისში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღებისთვის, ასევე ქვეყანაში შემოტანისთვის, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 5-დან 14 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციის მიზნით ჩამოვიდა. ასევე, დადგინდა, რომ ის ნარკოტიკულ ნივთიერებებს თბილისში, სხვადასხვა ადგილზე ათავსებდა, ფოტოებს უღებდა და შესაბამისი აღნიშვნებით და კოორდინატებით, შემდგომი გასაღების მიზნით ორგანიზატორს უგზავნიდა.

დაკავებულის პირადი და სასტუმროს ნომრის ჩხრეკისას, ასევე თბილისში 10 სხვადასხვა ლოკაციიდან ნივთმტკიცებად ამოღებულია 15 შეკვრად დაფასოებული 122,96 გრამი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 19-260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 262 პირველი პრიმა მუხლებით მიმდინარეობს, რაც ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვას, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ გასაღებას და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანას გულისხმობს.

ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, საქართველოში უკანონოდ შემოტანისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შეძენა-შენახვის ბრალდებით სამართალდამცველებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს ერთი პირი.

ბრალდებული თურქეთის რესპუბლიკიდან ჩამოფრინდა და ცდილობდა საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების – 265 აბი „სუბუტექსის“ შემოტანას.

მის მიერ ჩადენილი დანაშაული 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ასევე, გაცნობებთ ნარკოდანაშაულის კიდევ ერთი გახსნილი ფაქტის შესახებ.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვის ბრალდებით, პოლიციამ 1 პირი იმ დროს დააკავა, როცა ის თბილისის შემოვლით გზაზე გადაადგილდებოდა. პოლიციამ მისი ავტომანქანის ჩხრეკისას 392 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსი“ ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს. დანაშაული 8-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

ჯამში, 2019 წლის პირველი იანვრიდან 13 მაისამდე პერიოდში, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ამოღებულია: 13.5 კილოგრამი „ჰეროინი“, 1.800 აბი „სუბუტექსი“ და „სუბოქსინი“, 2500 აბზე მეტი „ექსტაზი“, 6.5 კილოგრამი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება, 1 კილო და 400 გრამი კოკაინი და 400 გრამი ფსიქოტროპული პრეპარატები.

ამავე პერიოდში სამართალდამცველების მიერ პასუხისგებაში მიცემულია 60 ნარკორეალიზატორი“, – განაცხადა ბორცვაძემ.

# სოსო გოგაშვილი: „ჩემი და მალხაზ მაჩალიკაშვილის სიცოცხლე საფრთხეშია“



სუს-ის ხელმძღვანელის ყოფილი პირველი მოადგილე სოსო გოგაშვილი აცხადებს, რომ რისკის ქვეშ არის მისი და მალხაზ მაჩალიკაშვილის სიცოცხლე, რის გამოც გოგაშვილი სამართალდამცველებს ყურადღების გამოჩენისკენ მოუწოდებს.

– რისკის ქვეშ არის ჩემი და ვახას სიცოცხლეც. მე არანაირად არ ვარ შურისმაძიებელი და არც ვაპირებ კანონს იქით გადავიდე, მაგრამ მას რომ რამე დაუშავდეს, პირველ რიგში, ვინ იქნება ეჭვმიტანილი?! გოგაშვილი და სახელმწიფო. ან, პირიქით, მე რომ რამე დამიშავდეს და ვახამ არ გააკეთოს ეს, ვახა იქნება ეჭვმიტანილი და ეს გამოიწვევს ძალიან მძიმე მდგომარეობას და დაძაბულობას საქართველოში.

ამიტომ, მოვუწოდებ ძალოვნებს, რომ ამას ძალიან დიდი ყურადღება მიაქციონ და მაქსიმალური ყურადღებით იყვნენ ჩემი და იმ ადამიანის მიმართ, – განაცხადა გოგაშვილმა ტელეკომპანია „იმედთან“ საუბრის დროს.

# „იყო გვამები და ადამიანები დასახიჩრებული იყვნენ“

## მერაბ კვირიკაშვილის პროცესზე მოწმე დაიკითხა



გუშინ, 14 მაისს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მორაგბე მერაბ კვირიკაშვილის პროცესი გაიმართა.

სხდომაზე ბრალდების მხარის მოწმე დაიკითხა.

ლევან მოსიაშვილის განცხადებით, ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მათი ავტოსატრანსპორტო საშუალება გაჩერებული იყო, როდესაც ტრაილერის ხმა მოესმათ, რამდენიმე წამში შეჯახების ხმაც გაიგონეს და დაინახეს დამტვრეული ორი ავტომობილი.

მისი თქმით, ისინი დაშავებულების დახმარებას ცდილობდნენ.

– ცუდი მდგომარეობა იყო. იყო გვამები და ადამიანები დასახიჩრებული იყვნენ. ერთი მძღოლი ადგილზე იყო გარდაცვლილი, მეორე, „მერსედესის“ მძღოლი, საშინელ მდგომარეობაში გადმოვიყვანეთ. გამოვიძახეთ სასწრაფო, ადგილზე პატრულიც იყო. მას შემდეგ, რაც სასწრაფო მოვიდა, გვთხოვეს, ადგილი დაგვეტოვებინა, – განაცხადა ლევან მოსიაშვილმა.

მოწმემ ასევე უპასუხა პროკურორის კითხვებს და განმარტა, რომ მას შეჯახებამდე ავტომობილები არ დაუნახავს და არც მუხრუჭების ხმა გაუგია.

სხდომას ადვოკატთან ერთად დაესწრო მერაბ კვირიკაშვილი. პროცესს მოსამართლე მურთაზ კაპანაძე უძღვებოდა.

მომდევნო პროცესი 24 მაისს გაიმართება.

შეგახსენებთ, საქმე ეხება 2016 წელს მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას, რომელსაც 4 ადამიანი ემსხვერპლა.

# ჩუმლაყში სოფლის თავი ზაზა რუაძე ცემეს



გუშინ, 14 მაისს, სოფელ ჩუმლაყში გურჯაანის მერის წარმომადგენელს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ზაზა რუაძეს დაზიანება თავის არეში აქვს მიყენებული.

დაპირისპირება სოფლის ხელმძღვანელს ჩუმლაყელ ძმებთან, დავით და ბაჩანა ბერულაშვილებთან მოუვიდა. ინციდენტი სოფელში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოს მოჰყვა. ე.წ. ბაღის უბნის რეაბილიტაციის ფარგლებში გზა გათხარეს, რის შედეგადაც დაზიანდა ბერულაშვილების კუთვნილი წყლის მილი.

ოჯახი მის აღდგენამდე უბანში წყლის მიწოდების შეწყვეტას მოითხოვდა, რაზეც მხარეებს შორის ჯერ სიტყვიერი, შემდეგ კი ფიზიკური დაპირისპირება დაიწყო.

უკმაყოფილებას გამოთქვამენ ადგილობრივებიც. მათი თქმით, სანიაღვრე არხი მხოლოდ გზის ერთ მხარეს კეთდება.

მომხდარ ფაქტს ადასტურებს სოფლის ხელმძღვანელი, ხოლო ფიზიკურ შეურაცხყოფას უარყოფს ბაჩანა ბერულაშვილი.

საქმეზე გამოძიება კი 126-ე, ძალადობის მუხლით დაიწყო.

219-მეტრიანი გზა რეგიონული პროექტის ფარგლებში კეთდება, რისთვისაც 138 ათასი ლარია გამოყოფილი.

# რუსთავთან ჟიგული ჯებირს შეეჯახა

## 5 ადამიანი დაშავდა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა რუსთავი-თბილისის მაგისტრალზე.

„ჟიგულის“ მარკის ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, ავტობანის შუა გამყოფ ჯებირს შეეჯახა და გამყოფ ზოლზე 1 მეტრის სიმაღლეზე ავარდა.

შემთხვევის შედეგად 5 ადამიანი დაშავდა, რომლებიც სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა კლინიკა „რუსთავში“ გადაიყვანა.

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციის, სახანძრო-სამაშველო სამსახურისა და სასწრაფო დახმარების რამდენიმე ეკიპაჟი.



# თბილისში, კოსტავას 75-ში, მუშა მე-15 სართულიდან გადავარდა და დაიღუპა



თბილისში, კოსტავას 75 ნომერში, 40 წლამდე მამაკაცი სამშენებლო ობიექტზე მე-15 სართულიდან გადავარდა და ადგილზე დაიღუპა. სასწრაფო დახმარების ექიმებს ის უკვე გარდაცვლილი დახვდათ.

შრომის ინსპექციის პირველადი დასკვნით, უსაფრთხოების ნორმების უხეში იგნორირება იკვეთება, რასაც ადამიანის სიკვდილი მოჰყვა.

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წარმომადგენელი, მაია მიქაია განმარტავს, რომ სამშენებლო ობიექტზე ხარაჩოს დემონტაჟი მიმდინარეობდა. მისი თქმით, ხარაჩოს ექსპლუატაციის წესები დარღვეულია. პირველადი ინფორმაციით, მამაკაცის გარდაცვალების მიზეზი ხარაჩოს ჩამონგრევამ გამოიწვია.

შრომის ინსპექციაში აცხადებენ, რომ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით კომპანიისგან შესაბამისი დოკუმენტაციის მიღებას ელოდებიან. კომპანიის წარმომადგენლებმა მედიასთან კომენტარი არ გააკეთეს.

– სამშენებლო სამუშაოები დამთავრებულია და მიმდინარეობდა ხარაჩოს დემონტაჟი. რაც ერთი შეხედვით ჩანს და დავათვალიერეთ, არის, რომ ხარაჩოს ექსპლუატაციის წესები არის დარღვეული.

რაც შეეხება სხვა ინფორმაციას დასაქმებულთა აღჭურვასთან დაკავშირებით, შესაბამის სწავლებასთან დაკავშირებით, ჩვენ ველოდებით შესაბამის დოკუმენტაციას, რომელიც უნდა მოგვაწოდოს კომპანიამ და ამ ინფორმაციის შესაბამისი დოკუმენტების შესწავლის, სხვა დასაქმებულების გამოკითხვის შემდგომ იქნება შესაძლებელი, რომ დავდოთ ერთიანი დასკვნა, თუ რა კონკრეტულმა შემთხვევამ გამოიწვია, – განაცხადა მაია მიქაიამ.

სამოქალაქო აქტივისტები ამბობენ, რომ ხელისუფლებას ადამიანის სიცოცხლე არ აინტერესებს და არ ადარდებს. პროფკავშირების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ზედამხედველობის ორგანო უნდა გამკაცრდეს.

– ხელისუფლებას ფეხებზე ჰკიდია ადამიანის სიცოცხლე. უკვე აღარ ვიცით, რა შეიძლება მოვიმოქმედოთ. უნდა დავუჩოქოთ კიდევ ერთხელ ბიძინა ივანიშვილს და ხელისუფლებას თუ ხელკეტები ავიღოთ და მივადგეთ საკუთარ კაბინეტებთან იმისთვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ აღიარონ და დაიწყონ მოქმედება იმისთვის, რომ ადამიანის სიცოცხლე დაცული იყოს დასაქმების ადგილზე, – განაცხადა სამოქალაქო აქტივისტმა ირაკლი კუპრაძემ.

# ქვემო ფონიჭალაში ტრაილერი ქალს დაეჯახა და მოკლა

გუშინ, 14 მაისს, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ქვემო ფონიჭალაში – დიდი სიჩქარით მიმავალი ტრაილერი ქალს დაეჯახა.



ქალი ადგილზე გარდაიცვალა.

თვითმხილველების თქმით, ქალი ქვეითთა გადასასვლელით სარგებლობდა, ტრაილერმა კი დამუხრუჭება ვერ მოასწრო.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გარდაცვალება გამოიწვია.

# ჩაქვში მანქანა ხიდიდან მდინარეში გადავარდა

ჩაქვის ხიდიდან მსუბუქი ავტომანქანა მდინარეში გადავარდა.

თვითმხილველების თქმით, ავტომანქანა ხიდზე გვერდიდან შევარდა.

შსს-ს ინფორმაციით, ავტომანქანის გადავარდნის შედეგად არავინ დაშავებულა.

# ერევანში რობერტ კოჩარიანს ასამართლებენ



სომხეთის დედაქალაქში ექსპრეზიდენტ რობერტ კოჩარიანს ასამართლებენ. მას ბრალი ედება სახელმწიფო გადატრიალებაში.

ასე უწოდებენ 2008 წლის მოვლენებს, როცა კოჩარიანი პრეზიდენტად აირჩიეს. არჩევნები უხეში დარღვევებით ჩატარდა. ხალხიც ქუჩაში გამოვიდა. კოჩარიანმა მათ ჯარი და პოლიცია მიუსია. საპროტესტო აქციის დაშლას მსხვერპლი მოჰყა. კოჩარიანმა კი ე.წ. „არჩევნებში“ გაიმარჯვა.

– თავს დამნაშავედ არ ვაღიარებ! პაშინიანის რეჟიმი ჩემთან პირად ანგარიშებს ასწორებს! – ამბობს კოჩარიანი.

# ამერიკის სასამართლომ ბაიერი 2 მილიარდი დოლარით დააჯარიმა




ამერიკის სასამართლომ გერმანული ქიმიური და ფარმაცევტული კონცერნი ბაიერი პასუხისმგებლად ცნო იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მისი შვილობილი კომპანიის მონსანტოს მიერ წარმოებულმა ჰერბიციდმა მეუღლეებში ონკოლოგიური დაავადება გამოიწვია.

მსაჯულთა სასამართლომ კალიფორნიაში ბაიერს 2 მილიარდი დოლარის ოდენობის (1.78 მილიარდი ევრო) კომპენსაციის გადახდა დაავალა წყვილისთვის, რომელიც კონცერნის კუთვნილ კომპანიას შხამიანი ჰერბიციდის წარმოებაში ადანაშაულებს.

ბრალდების მხარე შეეცადა დაერწმუნებინა ნაფიცი მსაჯულები, რომ მონსანტო კვლევების მონაცემებით მანიპულირებას შეეცადა და სურდა პოტენციური საფრთხე დაეფარა.

ეს უკვე მესამე პროცესია, რომელიც ბაიერმა წააგო. კონცერნის ადვოკატები აპელაციის შეტანას გეგმავენ.

ამ დროისთვის ამერიკის სასამართლოებში მონსანტოს წინააღმდეგ 13.400 სარჩელია შეტანილი.

# ტერაქტი პაკისტანში



პაკისტანის ქალაქ კვეტში ტერაქტი მოხდა. ქალაქის ბაზრის მახლობლად მოტოციკლთან ვიღაცამ ბომბი დადო.

აფეთქების შედეგად დაიღუპა 3 პოლიციელი და 10 მშვიდობიანი მოქალაქე.

ტერაქტზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არც ერთ ტერორისტულ ორგანიზაციას არ აუღია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მამაკაცმა, რომელმაც სელაპებს თავები დააჭრა, ციხეში ამოყო თავი



საფრანგეთში დააკავეს მამაკაცი, რომელიც სელაპების მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ფრანგული გამოცემა ავრცელებს.

რამდენიმე თვის წინ ბრეტანიის პლაჟებზე რეგულარულად ნახულობდნენ ზღვის ცხოველების დასახიჩრებულ გვამებს. უცნობი დამნაშავის ქმედებამ ადგილობრივი მცხოვრებლები აღაშფოთა. ეს საქმე იმდენად რეზონანსული გახდა, რომ ზღვის ფაუნის დაცვის საზოგადოებამ ჯილდოდ 10 ათასი ევრო დააწესა მათთვის, ვინც მკვლელზე ინფორმაციას მიაწვდიდა.

პრესაში ინფორმაციის გამოქვეყნება და ჯილდოს დაწესების გამოცხადება პოლიციას მოწმეების პოვნაში დაეხმარა. სამი პიროვნების დაკითხვის შემდეგ, ერთ-ერთი მათგანი დააკავეს სელაპების დახოცვის საქმესთან დაკავშირებით. მას ორ წლამდე პატიმრობა და 3,75-დან 150 ათას ევრომდე ჯარიმა ემუქრება.

პირველი თავმოჭრილი სელაპი თებერვლის შუა რიცხვებში ქალაქ კონკარნოში ნახეს. ბოროტმოქმედმა ცხოველის მოჭრილი თავი თოკით ადგილობრივ ყურეში გამოკიდა. ერთი თვის შემდეგ შორიახლოს კიდევ ერთი თავმოჭრილი სელაპი იპოვეს. კიდევ ერთი კვირის შემდეგ მეზობელ ქალაქში ზღვის სანაპიროზე მესამე თავმოჭრილი სელაპი ნახეს.

ეჭვმიტანილი ადგილობრივი მეთევზე გამოდგა. დანაშაულის ჩადენის მისი მოტივები უცნობია. თუმცა ცნობილია, რომ მეთევზეთა ჯგუფი, რომლებიც ერთი წლის წინ ანალოგიურ დანაშაულში იყვნენ ეჭვმიტანილები, სელაპებს მათი თევზის განადგურებაში დამნაშავედ თვლიდა.

# ტაქსის მძღოლმა ქალმა მილიონობით ფუნტი მოიგო და გარდაიცვალა

ინგლისის ისტ-რაიდინგ-ოფ-იორკშირის საგრაფოს ქალაქ კინგსტონპ-აპონ-ჰალიში ლატარიის გამარჯვებული გარდაიცვალა, რომელმაც 17 თვის წინ რამდენიმე მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგო.



ელინდა იდი 57 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა. დაღუპვამდე ერთი კვირით ადრე, მან საავადმყოფოს მკერდის არეში ტკივილების ჩივილით მიმართა, რომელსაც სუნთქვის გაძნელება ახლდა თან. გამოკვლევამ ქალს გულის ან ფილტვების რაიმე პრობლემები ვერ გამოუვლინა. ექიმები ქალის მიერ განცდილ ტკივილებს სტრესს ან შიშის განცდას უკავშირებდნენ.

2017 წლის დეკემბრის ბოლოს ელინდა იდმა ავტოგასამართ სადგურში მომენტალური ლატარიის ბილეთები შეიძინა და ოთხი მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგო. ამის შემდეგ ქალმა, რომელიც წლების მანძილზე ტაქსის მძღოლად მუშაობდა, სამსახურს თავი დაანება. მისი თქმით, პირველად ბოლო 25 წლის განმავლობაში ახალ წელს სახლში და არა სამუშაოზე შეხვდა.

იდი მოგებული ფულის საკუთარ სახლზე დახარჯვას გეგმავდა, ასევე სურდა ახალი აუდის მარკის ავტომობილის შეძენა და ქორწილის მოწყობას აპირებდა. გარდა ამისა, ის აპირებდა ავტობიოგრაფიის დაწერას და ცხოვრებისეულ სირთულეებზე საუბარს, რასაც ტრანსგენდერობის გამო აწყდებოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ქალმა საკუთარ ეზოში უცნობი არსება აღმოაჩინა

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ტაიტუსვილში, ქალმა საკუთარი სახლის უკანა ეზოში უცნობი ცხოველის გვამი იპოვა.

კელი გარაჰანმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე უჩვეულო არსების ფოტოსურათები გამოაქვეყნა. მას იმედი ჰქონდა, რომ ინტერნეტ-მომხმარებლები დაეხმარებოდნენ იმის დადგენაში, თუ რა არსებასთან ჰქონდა საქმე. ფოტოზე ჩანს, რომ ცხოველს წაგრძელებული სხეული, კბილები და ბრჭყალები აქვს. კელიმ მისი ზომები ჰაერის გამწმენდი ბალონის ზომებს შეადარა.



ფოტოსურათის კომენტარებში ინტერნეტ-მომხმარებლებმა სხვადასხვა ვარაუდები გამოთქვეს არსების წარმომავლობასთან დაკავშირებით. ერთნი წერდნენ, რომ ეს ბანანას ხვლიკი იყო, მეორენი – ჩუპაკაბრას. მესამენი მას რეპტილიას ადარებდნენ.

კელიმ ფოტოსურათები ფლორიდის ბუნების რესურსების დაცვის კომისიას გადაუგზავნა. ორგანიზაციაში განაცხადეს, რომ ეს მკვდარი ოპოსუმი იყო.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**შევისყიდით წიგნებს!**

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# სიტის ჩემპიონთა ლიგიდან მოკვეთა ემუქრება, პალერმო აღზევების ნაცვლად დააქვეითეს



სენსაციურ ინფორმაციას აქვეყნებს „ნიუ იორკ ტაიმსი“, ამერიკული გამოცემა ამტკიცებს, რომ უეფამ, შესაძლოა, მანჩესტერ სიტი ჩემპიონთა ლიგიდან მოკვეთოს – მიზეზი უეფასა და ფიფას ფინანსური „ფეარ პლეის“ წესების დარღვევაა.

როგორც „ნიუ იორკ ტაიმსი“ იუწყება, უეფა თვეების განმავლობაში იძიებს სიტის საქმეს და გადაწყდა, გუნდი 1 წლით ჩამოაშორონ ჩემპიონთა ლიგას.

საქმე ის არის, რომ ინგლისურმა კლუბმა 2014 წლის ფინანსურ მონაცემებზე არასწორი ინფორმაცია მიაწოდა და დამალა სპონსორთა კონტრაქტების რეალური შემოსავალი. მაშინ სიტი 49 მილიონი გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს და ჩემპიონთა ლიგაზე შემადგენლობა შეუკვეცეს.

სიტის შავბნელი საქმეები დღის სინათლეზე გერმანულმა შპიგელმაც გამოიტანა. თავად კლუბი კი, ყველანაირ ბრალდებას უარყოფს.

ამერიკული წყაროს ცნობით, სიაში შემდეგ პარი სენ-ჟერმენია.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ეროვნული ფედერალური საბჭოს გადაწყვეტილებით კი, პალერმო სერია ც-ში დაქვეითდება. მიზეზი ფინანსური დარღვევებია, რაშიც სიცილიური კლუბი რამდენიმე თვის წინათ ამხილეს. ამ გადაწყვეტილებით, პალერმო სერია ბ-ს უკანასკნელ ადგილზე დაასრულებს, არადა, დელიო როსის გუნდმა მე-3 ადგილი დაიკავა და სერია ა-ს ფლეი ოფის საგზურიც მოიპოვა.

ახლა კი პალერმოს პლეი ოფში პერუჯა შეცვლის, რომელმაც მე-9 ადგილი დაიკავა. პალერმოს დასჯით, გავარდნას გადაურჩა ვენეცია, ხოლო ფოჯას შანსი მიეცა, ის დასარჩენ ფლეი ოფში ითამაშებს.

პალერმო ყოფილი მეპატრონის, მაურიციო ძამპარინის გამო დაისაჯა, რომელიც ფულის გათეთრებაში ამხილეს. ძამპარინიმ კლუბი თავისივე შექმნილ კომპანიას „მიყიდა“ და შემდეგ უკან მინიმალურ თანხად „გამოისყიდა“.

პალერმო გადაწყვეტილებას აუცილებლად გაასაჩივრებს.

შეგახსენებთ, რომ სერია ბ-ს მიმდინარე გათამაშებას სკანდალები არ აკლდა და ჩემპიონატი სულაც 19 გუნდით დაიწყო.

# დე ლიხტი დე იონგის კვალდაკვალ




ამსტერდამის აიაქსის ცენტრალური მცველი, მატიის დე ლიხტი ახლოსაა კატალონიის ბარსელონაში გადასვლასთან. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფეხბურთელის აგენტი, მინო რაიოლა ბარსელონას ხელმძღვანელებს მონტე კარლოში შეხვდა და მხარეებმა პირადი კონტრაქტის პირობები შეათანხმეს.

ბარსელონას დე ლიხტის სანაცვლოდ სოლიდური თანხის გადახდა მოუწევს. ბოლო მონაცემებით, დე ლიხტის სატრანსფერო ღირებულება 70 მილიონ ევროს შეადგენს.

19 წლის ჰოლანდიელი მცველის კონტრაქტი აიაქსთან 2021 წლამდეა გათვლილი.

აღსანიშნავია, რომ დე ლიხტის გარდა, ბარსელონამ აიაქსის ახალგაზრდა ტალანტის, ფრენკი დე იონგის ტრანსფერი უკვე შეათანხმა და ჰოლანდიელი ახალი სეზონიდან ოფიციალურად „ბლაუგრანელთა“ ღირსებას დაიცავს.

როგორც ჩანს, ახალ ჰოლანდიელებს მომდევნო სეზონში ისევ ერნესტო ვალვერდე გაწვრთნის, რომლის საქმე ისე ცუდადაც არ არის, ლივერპულისა და ბარსელონას საპასუხო მატჩის შემდეგ ბევრს რომ წარმოედგინა.

ენფილდზე „ბლაუგრანა“ შინ სამბურთიანი გამარჯვების შემდეგ 0:4 განადგურდა და 2 მატჩის ჯამში უეფას ჩემპიონთა ლიგას ნახევარფინალური ეტაპიდან გამოეთიშა.

ავტორიტეტული ესპანური გამოცემა მარკა ავრცელებს ინფორმაციას, რომ კატალონიურ გრანდში არ აპირებენ გუნდის მთავარ მწვრთნელ ერნესტო ვალვერდესთან გამომშვიდობებას.

ამ დღეებში კლუბის პრეზიდენტი ხოსეპ მარია ბარტომეუ ვალვერდეს სხვადასხვა ხელმძღვანელებთან ერთად გაესაუბრა და თითოეული პირისგან სპეციალისტმა მხარდაჭერა მიიღო. ერთადერთი, რამაც შეიძლება შეცვალოს ხელმძღვანელობის პოზიცია, შესაძლოა, იყოს ესპანეთის კოპა დელ რეის ფინალური მატჩის წარუმატებლად დასრულება – ბარსელონა ფინალში ვალენსიას დაუპირისპირდება.

# ქუთაისმა და დელტამ პირველი მატჩები მოიგეს




**ქუთაისი-დინამო 68:60**

**(24:13, 8:18, 17:12, 19:17)**

სუპერლიგის ნახევარფინალური სერიის პირველი მატჩის სათამაშოდ იმერეთში თბილისის დინამო ჩავიდა. შარშანდელი სუპერლიგის ფინალისტების ჯახი კოტე ტუღუშის გუნდის გამარჯვებით დაიწყო – ქუთაისმა 68:60 იმარჯვა და სერიაში 1:0 დაწინაურდა.

პირველი მეოთხედი მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და ქუთაისი 11-ქულიანი ჰანდიკაპით გავიდა მცირე შესვენებაზე. როგორც გამოჩნდა, ირაკლი ხოშტარიამ ამით ისარგებლა, გუნდს რჩევა-დარიგებები მისცა. დინამომ დაცვა გაამაგრა, ქუთაისმა მე-2 10-წუთეულში მხოლოდ 8 ქულა აიღო, დინამომ შეტევაშიც კარგად ითამაშა და დიდი შესვენების წინ სხვაობა მხოლოდ ქულაღა იყო.

დინამომ კარგად დაიწყო მე-3 მეოთხედიც და წინ გაიჭრა, თუმცა, დროებით. მასპინძლებმა ისევ აქტიურად ითამაშეს, დაცვასაც მიხედეს და პერიოდი 17:12 მოიგეს.

დასკვნით 10-წუთეულში დინამო ეცადა მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ ქუთაისმა ახლოს არ მიუშვა მეტოქე და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც.

ქულმწირ მატჩში მასპინძელთაგან საუკეთესო აკაკი დვალიშვილი და ჯონათან ლი იყვნენ, რომლებმაც 17-17 ქულა მოინაგრეს. დინამოდან მხოლოდ ჯორდან შვოპშირი (15) და დემაგოი ბუბალო (12) გამოირჩნენ.

შემდეგი მატჩი ისევ ქუთაისში გაიმართება.

**მგზავრები-დელტა 76:90**

**(24:18, 25:24, 10:27, 17:21)**

თბილისში ერთმანეთს დედაქალაქური გუნდები დაუპირისპირდნენ. საინტერესო მატჩის პირველი ნახევარი მგზავრების იყო, რომელმაც ტაიმი 7 ქულით – 49:42 მოიგო, თუმცა მესამე პერიოდი და დელტელთა შტურმი ერთდროულად დაიწყო. მწვრთნელმა, ლექსო ლაფანაშვილმა ზუსტი დასკვნები გამოიტანა პირველი ნახევრიდან და შესვენების შემდეგ მისი გუნდი სულ სხვაგვარად ათამაშდა. დელტამ ფარქვეშ პოზიციები გაიმაგრა – გეგი ბაქრაძე და ბექა ბექაური სამწამიანში აშკარად ჯაბნიდნენ ჯეიკობ არმსტრონგსა და სოსო გოგნაძეს, ხოლო უკანა ხაზში ლაფანაშვილის გუნდს წინამძღოლად საბა ლობჯანიძე მოევლინა, რომელიც ბურთსაც სხარტად, გონივრულად ათამაშებდა და უფრო ეფექტური შეტევაში იყო. ლობჯანიძემ 2 სამქულიანი ჩააგდო, მას გვერდს უმაგრებდა ერიქ ნოთიჯი, რასაც მგზავრების ერთ-ერთი ლიდერის, კახა ჯინჭარაძის პერსონალურებით ავსება დაერთო და დელტამ 12:0 გაქცევა მოაწყო, 54:49 გალიდერდა და სრულ სათამაშო უპირატესობას დაეუფლა.

მგზავრების მწვრთნელმა, ბუბა ბერიშვილმა წუთ-შესვენებები გამოიყენა, მაგრამ დელტელების შეჩერება არ მოხერხდა. კახა ჯინჭარაძე პერსონალურების ლიმიტის გამო მესამე პერიოდშივე გავარდა მოედნიდან, რითაც მგზავრებს შემტევი არსენალი ხომ მოაკლდათ და თან დელტას ფორვარდებმაც გაილაღეს. ბოლო პერიოდის წინ ლაფანაშვილის გუნდი 10 ქულით იგებდა და მგზავრებს თამაშის შემოტრიალების რესურსი აღარ დარჩა. შეხვედრა დელტელებმა საბოლოოდ 14 ქულით მოიგეს და სერიაში 1:0 დაწინაურდნენ.

გამარჯვებულთაგან 24 ქულით საუკეთესო იყო საბა ლობჯანიძე. 12 ქულა მიითვალა ოთო ფხაკაძემ, ბექა ბექაურის ანგარიშზე კი 8 ქულა და 11 მოხსნა დაგროვდა. მგზავრებში 27 ქულით ადრიან ბოუი გამოირჩა. 17 ქულა ჰქონდა კახა ჯინჭარაძეს.

# აზარი რეალში გადაწყვეტილია, ნეიმარს გაცვლას უწინასწარმეტყველებენ



ფრანგული გამოცემა ეკიპი იტყობინება, რომ მადრიდის რეალსა და ლონდონის ჩელსის შორის შეთანხმება შედგა და ედენ აზარი ივნისის პირველ რიცხვებში შეუერთდება ესპანურ გრანდს.

ეკიპი სატრანსფერო თანხასაც ასახელებს – 100 მილიონი ევრო! 28 წლის ბელგიელი ევროპალიგის ფინალის დასრულებისთანავე გაემგზავრება მადრიდში. სავარაუდოდ, იმ დღეებშივე გაფორმდება კონტრაქტი, რომელიც 5-წლიან თანამშრომლობაზეა გათვლილი.

თავად აზარი ლონდონის ჩელსის ხელმძღვანელებს ესაუბრა და თავისი სამომავლო გეგმები გაუმხილა.

**ედენ აზარი:**

– გადაწყვეტილება მივიღე და ამის შესახებ უკვე კლუბის შეფებმაც იციან. ახლა მხოლოდ იმას ველოდები, რომ სიტუაცია ბოლომდე გაირკვეს. მათ იციან, რა მსურს და ამის შესახებ მალე ყველა გაიგებს. თუმცა, საქმე მხოლოდ მე არ მეხება. ჩვენ ჯერ კიდევ წინ გვაქვს ფინალი, რომელიც აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ვისურვებდი, რომ ყველაფერი უფრო ადრე გარკვეულიყო, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. სწორედ ამიტომ, სიტუაციის საბოლოო გარკვევას მეც ისევე ველოდები, როგორც ფანები.

ლონდონური კლუბის მთავარი მწვრთნელის, მაურიციო სარის კომენტარიდანაც ჩანს, რომ აზარს ჩელსიდან წასვლა აქვს გადაწყვეტილი:

– ედენ აზარი დიდი ფეხბურთელია. მის გადაწყვეტილებას პატივი უნდა ვცეთ! მის მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

ევროპალიგის ფინალს ბაქოს ოლიმპიური სტადიონი 29 მაისს უმასპინძლებს. აზარის ჩელსის მეტოქე ლონდონის კიდევ ერთი გრანდი არსენალია.

აზარი 2012 წლიდან თამაშობს ჩელსის მაისურით და ყველა ტურნირზე ჩატარებულ 361 მატჩში 108 გოლი გაიტანა. ინგლისში ის ორჯერ გახდა პრემიერლიგის ჩემპიონი, მოიგო ასოციაციის და ლიგის თასები, 2013 წელს კი ევროპალიგის გამარჯვებული გახდა.

გავაგრძელოთ მადრიდული ამბები. ლა ლიგის დასრულებამდე სულ ცოტა დრო რჩება, თუმცა, გარეთ ბეილი სანტიაგო ბერნაბეუს პუბლიკას დაემშვიდობება.

ჯერჯერობით უცნობია, ითამაშებს თუ არა უელსელი, თუმცა წინახაზელი ქომაგებს აუცილებლად დაემშვიდობება, მისი წასვლა გადაწყვეტილია.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბეილის მანჩესტერ იუნაიტედში ან მიუნხენის ბაიერნში გადასვლა სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, ვინაიდან რადარზე საფრანგეთიც გამოჩნდა.

ფრანგული მედიის ინფორმაციით, უელსელ ფეხბურთელზე პრეტენზია პსჟ-მაც გამოაცხადა და დიდია იმის შანსი, რომ გარეთი დაიმატოს. დაუდასტურებელი ინფორმაციით, პარიზული კლუბი ბეილში 100 მილიონ ევროს იხდის.

არის ვერსია, რომლის მიხედვითაც, ბეილის პსჟ-ში გადასვლით ბრაზილიელი ნეიმარის რეალში ტრანსფერის ალბათობა იმატებს და რამდენიმე ფრანგული გამოცემა გაცვლის პერსპექტივასაც განიხილავს.

საუბარია ბეილს პლუს 130 მილიონ ევროზე, სანაცვლოდ კი „ბლანკოსმა“ ნეიმარი უნდა მიიღოს.

ფრანგული მედიის ინფორმაციით, პარიზელები ახალი სეზონისთვის აპირებენ, რომ რეალიდან ბეილის გარდა კიდევ 2 ფეხბურთელი დაიმატონ. პარი სენ ჟერმენის ხელმძღვანელების სიაში ისკო და ტონი კროოსი მოხვდნენ. ფრანგული წყარო წერს, რომ რეალის 2 ვარსკვლავში პარიზელები 210 (100 ბეილი, 110 – ისკო და კროოსი) მილიონ ევროს იხდიან.

ასეთ სიტუაციაში რეალს გაცვლა უფრო მარტივად გამოუვა.

# შედეგები

**13 მაისი**

**ფეხბურთი**

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

მალაგა-ოვიედო ............................ 3:0

**იტალია. სერია ა**

ბოლონია-პარმა ............................ 4:1

ინტერი-კიევო ............................ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 36 | 28 | 5 | 3 | 69-27 | 89 |
| 2.ნაპოლი | 36 | 23 | 7 | 6 | 68-32 | 76 |
| 3.ინტერი | 35 | 19 | 9 | 8 | 54-28 | 66 |
| 4.ატალანტა | 36 | 19 | 8 | 9 | 73-44 | 65 |
| 5.რომა | 36 | 17 | 11 | 8 | 64-47 | 62 |
| 6.მილანი | 36 | 17 | 11 | 8 | 50-34 | 62 |
| 7.ტორინო | 36 | 15 | 15 | 6 | 48-32 | 60 |
| 8.ლაციო | 36 | 17 | 7 | 12 | 52-40 | 58 |
| 9.სამპდორია | 36 | 14 | 7 | 15 | 58-51 | 49 |
| 10.სასუოლო | 36 | 9 | 15 | 12 | 52-57 | 42 |
| 11.სპალი | 36 | 11 | 9 | 16 | 40-50 | 42 |
| 12.ფიორენტინა | 36 | 8 | 16 | 12 | 47-44 | 40 |
| 13.ბოლონია | 36 | 10 | 10 | 16 | 42-51 | 40 |
| 14.კალიარი | 36 | 10 | 10 | 16 | 34-51 | 40 |
| 15.პარმა | 36 | 9 | 11 | 16 | 39-59 | 38 |
| 16.უდინეზე | 36 | 9 | 10 | 17 | 34-50 | 37 |
| 17.ჯენოა | 36 | 8 | 12 | 16 | 38-56 | 36 |
| 18.ემპოლი | 36 | 9 | 8 | 19 | 46-67 | 35 |
| 19.ფროზინონე | 36 | 5 | 9 | 22 | 29-67 | 24 |
| 20.კიევო | 36 | 2 | 12 | 22 | 25-75 | 15 |

**შენიშვნა:** კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სტ.მირენი-ჰამილტონი .................. 2:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბეშიქთაში-ალანია ........................ 2:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

არკა-ვისლა .................................... 3:1

**დანია. სუპერლიგა**

ბრონდბიუ-ნორდსიელანდი ........... 2:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ნორჩიოპინგი-გიოტებორგი .......... 1:2

გიოტებორგის მე-2 გოლი გიორგი ხარაიშვილმა გაიტანა

**ნორვეგია. ელიტსერია**

სტრომგოდსეტი-ვიკინგი .............. 0:0

# ვერნერის მსურველთა სია იზრდება




დიდი ალბათობით, ზაფხულში ტიმო ვერნერი ლაიფციგს დატოვებს. ფეხბურთელმა კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარი განაცხადა.

ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ვერნერი ბუნდესლიგაში დარჩებოდა და მიუნხენის ბაიერნში გააგრძელებდა ბურთაობას. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. 23 წლის შემტევთან დაკავშირებით ლაიფციგს და ბაიერნს არანაირი შეთანხმება არ აქვთ.

ოლივერ მინცლაფი, ლაიფციგის აღმასრულებელი დირექტორი:

– სიტუაცია უცვლელია, ტიმო ვერნერი არ აპირებს კონტრაქტის გახანგრძლივებას, თუმცა, შესაძლოა, ყველაფერი შეიცვალოს. არ ვფიქრობ, რომ თანამშრომლობის გაგრძელება შეუძლებელია. ბაიერნთან ვერნერზე არ გვისაუბრია. შესაძლოა, მას საერთოდ არ სურს მიუნხენში კარიერის გაგრძელება. არის ვარიანტები, რომ ტიმო პსჟ-ში ტომას ტუჰელს შეუერთდეს, ან იურგენ კლოპს ლივერპულში, ან თუნდაც ფავრეს დორტმუნდში.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ორიჯიმ დაამტკიცა

დივოკ ორიჯის ინგლისური ისტორია, სულ რაღაცის დამტკიცების ისტორიაა. ბელგიელი ფეხბურთელი ლივერპულმა ფრანგული ლილისგან 12 მილიონ ევროდ შეიძინა. ეს 2014 წელს მოხდა, მაგრამ იჯარის წესით, ერთ წელიწადს ისევ ლილში თამაშობდა.



პირველი სეზონი მან ჯერ კიდევ ბრენდან როჯერსის დროს დაიწყო და კლოპის ხელში დაამთავრა. მაშინდელი 5 გოლიც კლოპის დროს გაიტანა. გერმანელ სპეციალისტზე, ალბათ, შთაბეჭდილება ევროპა ლიგის მეოთხედფინალში დორტმუნდის კარში გატანილ 2 გოლს უნდა მოეხდინა. თუმცა ტრავმამ ყველაფერი წყალში ჩაყარა.

შემდეგ სეზონში ბელგიელმა პრემიერლიგის 34 მატჩში მიიღო მონაწილეობა, თუმცა მხოლოდ 14-ჯერ ძირითადში. 7 გოლი და 4 საგოლე პასი, თითქოს ცუდი შედეგი არ იყო, მაგრამ... კლოპს მისი გაყიდვა სურდა. მყიდველები ბლომად იყვნენ – ატლეტიკო, ტოტენჰემი, მონაკო, მარსელი... თუმცა, მოლაპარაკება მხოლოდ ვოლფსბურგთან მოხერხდა, ისიც იჯარის წესით.

ორიჯისთვის გერმანული გამოცდილება სახარბიელო ვერ გამოდგა – 6 გოლი 31 შეხვედრაში.

წინა ზაფხულს ლივერპული ისევ ცდილობდა მის გაყიდვას, მოლაპარაკებები მიმდინარეობდა დორტმუნდთან, ვულვერჰემპტონთან, ბეშიქთაშთან, გალათასარაისთან და ევერტონთანაც კი, მაგრამ ვერავისთან შეთანხმდნენ.

დეკემბერში ორიჯიმ ევერტონს გაუტანა და გერმანელმაც მისი შეცვლაზე შეყვანა დაიწყო. დივოკი სამჯერ ძირითადშიც მოხვდა. მერე უოტფორდსაც გაუტანა და ნიუკასლსაც, რომელმაც წითლები საჩემპიონო ბრძოლაში დატოვა.

და დადგა მთავარი მომენტის დრო – ფირმინოსა და სალაჰის ტრავმებმა 24 წლის შემტევს პირველ გუნდში გზა გაუხსნა და მანაც მწვრთნელს გაუმართლა.

ბარსელონასთან თითქოს განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია, თუმცა ორჯერ დაარტყა და ორჯერ გაიტანა. ჯერ ჯორდან ჰენდერსონის დარტყმულს დაამატა, შემდეგ ტრენტ ალექსანდერ-არნოლდის ორიგინალური კუთხური დააბოლოვა. ცენტრფორვარდმა უბრალოდ თავისი საქმე შეასრულა, თუმცა ზოგჯერ ესეც საკმარისია, რომ გმირი გახდე.

ახლა მის გაშვებას არავინ ფიქრობ – მას გუნდისთვის წარმატება მოაქვს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# უზარმაზარმა ტალღამ ტურისტები დააშავა



ჰავაის კუნძულ კაუაიზე უზარმაზარმა ტალღამ ორი ტურისტი პლაჟის ფოტოსესიის დროს დააშავა.

ინციდენტი ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში მოხდა, თუმცა მისი ამსახველი ვიდეო მხოლოდ ახლახან გავრცელდა იუთუბიზე. კადრებში ჩანს, თუ როგორ პოზირებს საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი გოგონა ზღვის პირას მდებარე კლდეებზე კამერის წინ, ხოლო მეორე მას ფოტოსურათებს უღებს. მათ მოულოდნელად წამოსული ტალღა დაატყდათ თავს, თუმცა მის შემოტევას გოგონებმა გაუძლეს, მაგრამ მალევე მეორე, პირველზე გაცილებით ძლიერმა ტალღამ გოგონები და იქვე მდგომი მამაკაცი წააქცია და დააშავა.

ვიდეორგოლის ავტორის აზრით, ფოტოსესიის მომწყობ ტურისტებს ძალიან გაუმართლა, ვინაიდან ისინი მხოლოდ ღრმა იარებით და ფოტოკამერის დამტვრევით გადარჩნენ.

# პლასტიკატის პაკეტები მარიანის ღრმულშიც აღმოაჩინეს



ამერიკელმა მკვლევარმა ვიქტორ ბესკოვომ წყნარი ოკეანის მარიანის ღრმულის ფსკერზე რეკორდული ჩაყვინთვა განახორციელა, 11 კილომეტრის სიღრმეში ჩაეშვა და იქ პლასტიკატის პაკეტებს მიაგნო.

ასევე მეცნიერმა მოახერხა კიბორჩხალისებრთა ოთხი ახალი სახეობის აღმოჩენა, რომლებიც ამფიპოდების სახელით არიან ცნობილი და ასევე აღმოაჩინა ვარდისფერი მოლუსკი. ბესკოვომ მის თანაგუნდელებთან ერთად ფსკერის ნიმუშები მოაგროვა და აპირებს შეამოწმოს, ნაპოვნი ცოცხალი ორგანიზმები შეიცავენ თუ არა მიკროპლასტიკს.

აღსანიშნავია, რომ წყნარ ოკეანეში ყოველ წელს მილიონობით ტონა პლასტიკატი ხვდება.

# ავსტრალიელებმა სეირნობის დროს ნახევარკილოგრამიანი ოქროს ზოდი იპოვეს

ავსტრალიის ვიქტორიას შტატის ქალაქ ბენდიგოს მცხოვრებმა ოჯახმა ძაღლის გასეირნების დროს ოქროს ზოდი იპოვა.

მამაკაცი, რომელიც თავის ორ პატარა გოგონასთან და ძაღლთან, სახელად ლაკისთან, ერთად ქალაქის გარეუბანში სეირნობდა, ამტკიცებს, რომ თავდაპირველად ყურადღება არ მიაქცია ქვის ფორმის საგანს.



– მე გვერდით ჩავუარე, ხოლო გოგონამ მას ფეხი წაკრა, – განაცხადა მამაკაცმა, – და მკითხა: „მამა, ეს ოქროა?“ რაზეც მე ვუპასუხე: „შეიძლება“.

სეირნობის დასრულების შემდეგ მათ ნაპოვნი სუპერმარკეტში მიიტანეს და აწონეს. აღმოჩნდა, რომ ზოდი 624 გრამს იწონიდა. შემდეგ ის სპეციალისტს აჩვენეს. მათ დაუდასტურეს, რომ ის ოქრო იყო. მათი შეფასებით, ასეთი ზომის ზოდის ღირებულება მინიმუმ 35 ათას ავსტრალიურ დოლარს შეადგენს.

მამაკაცმა აღნიშნა, რომ ამ ოქროს ზოდის პოვნამ მის ოჯახს სულზე მიუსწრო, ვინაიდან მწვავე ფინანსურ სირთულეებს განიცდიდნენ.

# მამა და შვილი ნიანგებითა და ზვიგენებით სავსე ყურეში გადარჩნენ

ავსტრალიაში მამამ და მისმა შვილმა მთელი ღამე წყალში ზვიგენებთან და ნიანგებთან ერთად გაატარეს და ცოცხლები გადარჩნენ.

49 წლის მამა თავის 15 წლის შვილთან ერთად დარვინის ყურეში სასეირნოდ წავიდა. ძლიერი ღელვის შედეგად მათი ხომალდი გადაბრუნდა და ნაწილებად დაიშალა. წყალში აღმოჩენილი მამა-შვილი იძულებული გახდა, დაშლილი კატამარანის ნაწილებს ჩაჭიდებოდა და ასე შეემაგრებინათ თავი წყლის ზედაპირზე.

დაკარგული ავსტრალიელების ოჯახის წევრები პოლიციას და სამაშველო სამსახურს დაუკავშირდნენ. მაშველებმა შვეულმფრენების დახმარებით მთელი სანაპირო დაათვალიერეს, მაგრამ დაკარგულებს ვერსად მიაგნეს.

მეორე დილით მამა და შვილი სინგაპურის ხომალდის ეკიპაჟის წევრებმა შენიშნეს და წყლიდან ამოსვლაში დაეხმარნენ.



ამ დროისთვის მამა-შვილის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. საზღვაო პოლიციის წარმომადგენლის თქმით, მათ ძალიან გაუმართლათ, ვინაიდან ყურეში უამრავი ზვიგენი და ნიანგია.

# დათვის დაუნდობელი მკვლელობა ვიდეოზე გადაიღეს

ინდოეთის ჯამუს და ქაშმირის შტატის ქალაქ დრასის მახლობლად მდებარე სოფლის მცხოვრებლებმა დასახლებიდან გააგდეს და მოკლეს მურა დათვი. ამის ამსახველი ვიდეო, ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.



ინციდენტი პარასკევს, 10 მაისს მოხდა. კადრებში ჩანს, რომ გარეული ცხოველი მავთულხლართებში გაიჭედა და მისგან თავის დაღწევას ცდილობს. გარკვეული დროის შემდეგ ის თავის განთავისუფლებას ახერხებს და თავიდან იმ მხარეს გარბის, სადაც ადამიანები დგანან, მაგრამ, როგორც კი მათ შენიშნავს, მაშინვე მიმართულებას ცვლის და სოფლიდან გარბის.

ვიდეოს მეორე ფრაგმენტში ჩანს, რომ ცხოველი კლდეზე მიცოცავს, ხოლო ადგილობრივები მას ქვებს ესვრიან. ამის შედეგად დათვი კლდიდან მოწყდა და დაახლოებით 15 მეტრის სიმაღლიდან მდინარეში ჩავარდა. ამ ყოველივეს ფონზე ადგილობრივების სიხარულის ყიჟინის ხმა ის. თვითმხილველთა თქმით, ცხოველი მდინარეში დაიხრჩო.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

## 15 მაისისთვის



**ვერძი** – მოულოდნელი ცვლილებების დღეა. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობას. სიზმარი აგიხდებათ. **კურო** – მოთმინებით აღიჭურვეთ. ერიდეთ კამათსა და კონფლიქტურ სიტუაციებს. **ტყუპები** – მოვლენები ადეკვატურად შეაფასეთ. ნუ იქნებით სუბიექტური. ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის. **კირჩხიბი** – კეთილისმყოფელი დღეა კარიერული წინსვლისათვის. ფინანსური მდგომარეობა სახარბიელო არ არის. **ლომი** – ბედი მორიგ გამოცდას გიწყობთ. რადიკალური ქმედებებისაგან თავი შეიკავეთ. ეს მეტწილად პირად ცხოვრებას ეხება. **ქალწული** – პირად ცხოვრებაში სირთულეები იჩენს თავს. გარეშე პირებს თქვენს საქმეში ნუ ჩარევთ. **სასწორი** – იდეალური დღეა კოლექტიური საქმიანობისათვის. წარმატება გარანტირებულია. **ღრიანკალი** – მშვიდად იყავით. მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას ნუ დაძაბავთ. **მშვილდოსანი** – ახალი საქმის დაწყება არ ღირს. ხელმძღვანელობასთან დიპლომატიურობა გამოიჩინეთ. **თხის რქა** – ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა დიდია. ყურადღება მიაქციეთ კვების რეჟიმს. **მერწყული** – იზრუნეთ საკუთარ თავზე. ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. **თევზები** – შეიცვალეთ გარემო. გადაიხალისეთ გარდერობი. ახალი საქმის დასაწყებად საკმაოდ კარგი პერიოდია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. მხარე ბელგიაში; 2. მწვავე სუნის მქონე უფერო აირი; 3. უდაბნო შუა აზიაში; 4. თვალის კაკლის გარეთა თეთრი გარსი; 5. მძლავრი სტიქიური მოვლენა; 6. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 11. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 13. მუსლიმთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 14. ფრანგული ყველი; 15. რაიმეს განვითარების მიმართულება, მიდრეკილება, მისწრაფება; 17. იაპონური ავტომობილი; 18. ანგორული თხის მატყლი; 19. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში.

**თარაზულად**: 7. ფრანგული პური; 8. ტრიუკების შემსრულებელი კინოფილმში; 9. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი; 10. ფინური ხალხური ეპოსი; 12. უცხო ენიდან შემოსული სიტყვა; 14. მგზავრთა სათავსო გემზე; 16. სოფოკლეს ტრაგედია; 18. უღელტეხილი კავკასიონზე; 20. სოხუმის ძველი სახელწოდება; 21. ინგლისის პრემიერ-მინისტრი; 22. საავტომობილო შიგაწვის ძრავების გერმანელი კონსტრუქტორი; 23. ფეხბურთის სათამაშო ფეხსაცმელი; 24. მეძავის კმაყოფაზე მცხოვრები მამაკაცი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ჰუდზონი; 2. სინოპეკი; 3. ვარძია; 4. ფლეში; 5. საფერავი; 8. ფალსტაფი; 12. ლიდა; 13. კაპიტალი; 14. ლიკუდი; 16. ჯომარდი; 18. მელუა; 20. პერუ.

**თარაზულად**: 6. კულინანი; 7. გვასალია; 8. ფოტონი; 9. ლონჟა; 10. წეროვანი; 11. რისლინგი; 15. კალიფორნია; 17. იამოტო; 19. დისპაშერი; 21. კარდიფი; 22. დილიჟანსი; 23. კურიერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. წუმწუმა; 2. გზირი; 3. გალენიტი; 4. კიტელი; 5. თაღლითი; 6. კანტატა; 11. ბიგლი; 13. ტრაპერი; 14. პოლიფონია; 15. მარინისტი; 17. აქსისი; 18. ტოლედო; 19. რიგა.

**თარაზულად**: 7. ტულუზა; 8. კალიგრაფია; 9. აწყური; 10. წერეთელი; 12. კასტანიეტა; 14. პრიზმა; 16. ცაგარელი; 18. ტალავარი; 20. ალაფი; 21. ონი; 22. სიურპრიზი; 23. ქისი; 24. იაკიტორია.

# სტეფანე და ნანი ბრეგვაძე უფასო კონცერტს გამართავენ



მომღერლები სტეფანე და ნანი ბრეგვაძე ღია ცის ქვეშ საბურთალოზე განახლებული გოძიაშვილის ბაღის გახსნაზე იმღერებენ.

15 მაისს განახლებული სკვერის გახსნაზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთავის თავისუფალი იქნება. რაც შეეხება საკონცერტო პროგრამას, სტეფანე მსმენელის წინაშე სპეციალურად მომზადებული პროგრამით წარდგება და ნანი ბრეგვაძესთან ერთად ცნობილ დუეტსაც შეასრულებს.

# საქართველოს ისტორია ნაგავზე აღმოჩნდა



წიგნი საქართველოს ისტორია წიგნის თაროს ნაცვლად ნაგავზე სხვა წიგნებთან ერთად აღმოჩნდა.

ინფორმაცია და ფოტოები ვახტანგ ფოჩხიძემ გაავრცელა, რომელმაც წიგნები ნაგვისთვის ვერ გაიმეტა და სახლში წაიღო:

— სანაგვე ურნასთან ეყარა წვიმაში... ნუთუ ბიბლიოთეკა აღარ არსებობს, რომ ჩააბარო, ან აჩუქო ვინმეს, ან საერთოდ შეინახო და გადასცე მომავალ თაობას.

ძალიან დიდი სირცხვილია...

აი, ეს სურათია იმის მაგალითი, თუ სად იმალება ყველაზე დიდი პრობლემა.

# ბესიკ დუღაშვილმა საერთაშორისო კონკურსში მესამე ადგილი დაიკავა

მხატვარმა ბესიკ დუღაშვილმა ვუდი ალენის კარიკატურის შექმნისთვის გამოცხადებულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჩატარდა და მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა:

კარიკატურისტების საერთაშორისო პორტალის, „ვიტიგრაფის" ყოველკვირეულ კონკურსზე მხატვართა საერთაშორისო ჟიურიმ, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან გაგზავნილ ნამუშევრებს აფასებს, ბესიკ დუღაშვილის ნამუშევარს ბრინჯაო მიანიჭა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ბესიკ დუღაშვილი ამ კონკურსის საპრიზო ადგილზე გადის. იგი სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა.




# მესხეთის თეატრი უკრაინის ფესტივალზე ითამაშებს



მესხეთის თეატრი უკრაინაში გამართულ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას.

თეატრის დასი უკრაინის ფესტივალის ცენტრის პრეზიდენტ ალექსანდრ კნიგას მიწვევის საფუძველზე 16 მაისს გაემგზავრება უკრაინაში თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად სპექტაკლით ივან ფრანკოს „მოპარული ბედნიერება", რომელიც ჩატარდება ქალაქ ხერსონის დრამატულ თეატრში, ხოლო 18 მაისს აღნიშნული სპექტაკლი ნაჩვენები იქნება ქალაქ ნიკალაევში რუსული დრამის თეატრის სცენაზე.

# „ყველაზე ძლიერი" ლევან ჯიქიამ დატოვა




რეალური შოუ „ყველაზე ძლიერი" წყალბურთელმა ლევან ჯიქიამ, იმავე დუღლიმ დატოვა.

„ყველაზე ძლიერის" მეორე ეპიზოდში გავარდნის კანდიდატები გახდნენ წყალბურთელი ლევან ჯიქია, მომღერალი და პოეტი გიორგი გილიგაშვილი და კალათბურთელი ანატოლი ბოისა.

სპეციალურად მათთვის მოწყობილ დავალებაში კი ლევან ჯიქია დამარცხდა და შოუც დატოვა.

დუღლის შოუდან წასვლა გააპროტესტა მაყურებელმა და „ყველაზე ძლიერს" ნული რეიტინგი უწინასწარმეტყველა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ზვიად რატიანი: „ბატიაშვილზე არაფერი ვიცი, გარდა ერთისა, გვარი გაამართლა!"



პოეტი ზვიად რატიანი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიმართავს:

— განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, კულტურისა და ა.შ. სამინისტროვ!

მონობა არაა დასაძრახი, თუკი ძალით დაგიმონეს, მაგრამ თქვენ ხართ ნებაყოფლობითი, მოხალისე მონები და შეუძლებელია, რაიმე გაკავშირებდეთ კულტურასთან, რადგან კულტურა, პირველ რიგში, სწორედ თავისუფლებაა.

წიგნის ცენტრი და მწერალთა სახლი, რომლებიც ამჯერად „მიჯირყნეთ", ორი ყველაზე წარმატებული გუნდი იყო ლიტერატურისა და წიგნიერების მიმართულებით. მათ შეძლეს და მთელი მსოფლიოს თვალში აღადგინეს საქართველოს გვარიანად შელახული რეპუტაცია, შელახული, პირველ რიგში, თქვენი და თქვენი ბოგანო პატრონის მიერ.

ბატიაშვილზე არაფერი ვიცი, გარდა ერთისა, გვარი გაამართლა! გიორგაძეს მინისტრის პორტფელში ყუმბარა ჩაუდეს და ისე გადასცეს და მანაც პირნათლად შეასრულა დავალება, ეს ყუმბარა საყდრისში შეაგდო. პლუს, ქელეხის თავიქალი ბერიკაშვილი, საქართველოს „სახედ" რომ ამზადებდით ფრანკფურტისათვის, რათა იქ ჩურჩხელები და ასაწყობი ეკლესიები ჩაეტანა და საქვეყნოდ მოგვჭროდა თავი. მაშინ გადავრჩით, არ გაგივიდათ.

თბილისის საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალში, რომელსაც მწერალთა სახლი აწყობს, უამრავი მსოფლიო მნიშვნელობის მწერალმა მიიღო მონაწილეობა და გაიყოლა მხოლოდ კარგი მოგონებები, რომლებსაც სხვებსაც, მათსავით მნიშვნელოვან ადამიანებს გაუზიარებდა.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე მართლა შეუძლებელი შეძლო წიგნის ცენტრმა, ევროპაში დღემდე ლაპარაკობენ და წერენ საქართველოს განსაკუთრებულობის შესახებ. ერთადერთი შავი ლაქა, რაც ფრანკფურტის ბაზრობას ახლდა, ჩვენი ვითომ-ვითომ პრემიერის გამოსვლა იყო, უფრო სწორად, სადღეგრძელო. თავის მოჭრა! მესამე რიგში გამოჭიმული გაუთლელი კალაძეც კი დასცინოდა.

ჰოდა, მერე რას აპირებთ, როცა ეგ თქვენი მანიაკი ბიძინა თქვენც გაგააპანლურებთ? მერე როგორ უნდა იკაცროთ და იმართლოთ თავი? რამდენი ფულიც არ უნდა მოკუჭოთ, მაინც მაგარი საცოდავები ხართ.

# აჩიკო ნიჟარაძე: „შეწყვიტეთ დაპირისპირების ხელშეწყობა!"



ასე მიმართავს მომღერალი აჩიკო ნიჟარაძე მედიასაშუალებებს და მათ არასწორი ინტერპრეტაციით ინფორმაციის გავრცელებისგან თავის შეკავებას ურჩევს:

— მოგმართავთ იმ მედიასაშუალებებს, რომლებიც ავრცელებთ ინფორმაციას არასწორი ინტერპრეტაციით და ამხედრებთ ხალხს ხელოვანი ადამიანების წინააღმდეგ, შეწყვიტეთ დაპირისპირების ხელშეწყობა!

17 მაისს მე, ნათია პერანიძე და მარიკა ოსიტაშვილი მონაწილეობას ვიღებთ კონცერტში, რომელიც გაიმართება ქალაქ გორის თეატრში. მოლაპარაკება კონცერტთან დაკავშირებით შედგა აპრილის დასაწყისში, რაზეც მათ მიიღეს ჩვენი თანხმობა და ველოდებოდით საბოლოო დასტურს მათი მხრიდან.

დაახლოებით 20 აპრილს დამიკავშირდნენ საპატრიარქოს კონცერტთან დაკავშირებით და გამიკეთეს შემოთავაზება. მე მათ დაწვრილებით ავუხსენი სიტუაცია, რომ ველოდებოდი დასტურს გორიდან და ამ მიზეზის გამო დაზუსტებულ პასუხს ვერ მივცემდი მონაწილეობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ არ დადასტურდებოდა გორის კონცერტი, მხოლოდ მაშინ შევძლებდი საპატრიარქოს მიერ ორგანიზებულ კონცერტში მონაწილეობას. ბუნებრივია, ერთდროულად ორ ქალაქში ვერ ვიმღერებდი. ამის შემდეგ, ჩემი დასტურის გარეშე თბილისის კონცერტის ორგანიზატორებმა შეცდომით შეიყვანეს აფიშაში ჩემი სახელი, როგორც თვითონ აცხადებენ მედიასთან, მოხდა მომღერლების აფიშაში შეცდომით შეიყვანა, რომლებთანაც ჯერ არ ჰქონდათ მოლაპარაკება დასრულებული, ანუ ჩვენი ნებართვის გარეშე, რაზეც მათ ბოდიში მოუხადეს საზოგადოებას და ჩვენც.

რა თქმა უნდა, ეს აიტაცეს სხვადასხვა მედიასაშუალებებმა და უმწვავესი სათაურებით, რომ თურმე ჩვენ საპატრიარქოს კონცერტზე უარს ვაცხადებთ და არ გამოვდივართ, არ „არა", ვერ გამოვდივარ იმ მიზეზის გამო, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ.

არავითარი კავშირი ჩემს ვერ გამოსვლას საპატრიარქოს კონცერტზე არ აქვს არანაირ პროტესტთან. მე ძალიან ბევრ ღონისძიებაში მაქვს მიღებული მონაწილეობა, რომლის ორგანიზატორიც იყო საპატრიარქო და ჩემგან არასოდეს მიუღიათ უარი. თუ რომელიმე მედიასაშუალებას ან გაღიზიანებული ადამიანების ჯგუფიდან ვინმეს გაინტერესებთ, შეგიძლიათ, მათ ჰკითხოთ, დაგიდასტურებენ. არანაირი პროტესტი ოჯახის სიწმინდის დღესთან დაკავშირებით არ გამაჩნია.

რაც შეეხება ძალადობას, ვემიჯნები ძალადობას ნებისმიერი ადამიანის მიმართ და არა მარტო ადამიანის, ასევე ცხოველების მიმართაც.

რაც შეეხება პრაიდს, „პარადს", რომლის ჩატარებაც იგეგმება თბილისში, ამ პარადის მომხრე არ ვარ და არ ვიქნები არასოდეს.

ახლა პასუხი მინდა გავცე საზოგადოების „გაღიზიანებულ" ნაწილს და ასევე „მორწმუნე მართლმადიდებლების" იმ ნაწილს, რომლებმაც გადაუმოწმებელ ინფორმაციაზე გამოიტანეთ დასკვნები!

ჩემთვის ოჯახი, ჩემი ქვეყანა და სარწმუნოება არასოდეს ყოფილა მეორეხარისხოვანი და არც იქნება. რაც შეეხება სხვის განსჯას, თან მიზეზის არცოდნის გარეშე, აი, ამაზე დაფიქრება ნამდვილად გჭირდებათ. რამდენად ახლოსაა კაცობასთან და რწმენასთან ასეთი საქციელი, ეს საზოგადოების ჯანსაღად მოაზროვნე ნაწილისთვის მომინდია.

# გოდერძი ნარიმანაშვილი: „დაშბაშის კანიონს გავუფრთხილდეთ!"

— სოს! გავუფრთხილდეთ! დაშბაშის კანიონი ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, — აცხადებს არქეოლოგი გოდერძი ნარიმანაშვილი:

— დაშბაშის კანიონი ბუნების ძეგლია, გვამცნობს ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია. ასეა დღეს და ასე იყო ათეული წლების წინაც. უკანასკნელ ხანს სოციალურ ქსელში ვრცელდება ფოტოები, რომლებზეც კანიონზე ასაგები ხიდის მაკეტია გამოსახული. ისიც გაჟღერდა, რომ მშენებლობა 2020 წელს დაიწყება და 20 თუ 40 მილიონი დაჯდება. ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობაზე ზრუნვა კარგია და მისასალმებელი, მაგრამ:

1. თუ ბუნების ძეგლია და დაცული ტერიტორიაა, როგორ მოხდა ასეთ პროექტზე ნებართვის გაცემა;

2. თუ ნებართვა არ არის გაცემული, რატომ დუმს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

3. თუ ნებართვა გაცემულია, მაინტერესებს, არის თუ არა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო საქმის კურსში და აქვს თუ არა გაცემული შესაბამისი ნებართვა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ადმინისტრაციებს ვთხოვ პასუხს ზემოთ დასმულ კითხვებზე.

ვფიქრობ, საზოგადოებამ უნდა იცოდეს ბატონი ლევან დავითაშვილისა და ბატონი ნიკოლოზ ანთიძის პოზიცია.

ბატონო ლევან, ბატონო ნიკოლოზ, იქნებ სიცხადე შეიტანოთ დაშბაშის კანიონის გარშემო არსებულ ბუნდოვან ისტორიაში.



# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


15 მაისისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7435

ევრო — 3.0831

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5737

100 რუსული რუბლი — 4.1994




## ამინდის პროგნოზი 15 მაისისთვის


## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

14 მაისიდან

ქართული მითები

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი







3 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

10 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი IV

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი





## ბავშვმა წყალქვეშ 25 წუთი დაჰყო და გადარჩა

ბრიტანეთის კამბრიას საგრაფოში ექიმებმა გადაარჩინეს მოზარდი, რომელმაც წყლის სიღრმეში 25 წუთი გაატარა.

13 წლის კასპერ კრაუზეს გადარჩენის ოპერაციაში მეხანძრეები, პოლიციელები და გადაუდებელი დახმარების სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობდნენ. როდესაც ბიჭი მდინარიდან ამოიყვანეს, მას გულისცემა გაჩერებული ჰქონდა. მოზარდი საავადმყოფოში შვეულმფრენით გადაიყვანეს და ექსტრაკორპორალური მემბრანული ოქსიგენცია გაუკეთდა – სისხლის ჟანგბადით ექსტრემალურად გამდიდრება.

მოწყობილობამ, რომელიც ამ პროცედურისთვის გამოიყენება, კრაუზეს სისხლის გათბობა შეძლო. ეს უკიდურესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვინაიდან მისი სხეულის ტემპერატურა უკიდურესად დაბლა იყო დაწეული. შედეგად ექიმებმა ბავშვის სიცოცხლის გადარჩენა შეძლეს. მალევე კრაუზე მშობლების თანხლებით საქველმოქმედო ორგანიზაციას ეწვია, რა დროსაც ჟურნალისტებს მისი ოჯახის წევრებთან გასაუბრების საშუალება მიეცათ.

– დღითიდღე მისი მდგომარეობა უმჯობესდება. მისი გადარჩენა ნამდვილი სასწაულია, – განაცხადა ბიჭის დედა ვიოლეტამ, – დიდი მადლობა სასწრაფო დახმარებისა და შვეულმფრენის ეკიპაჟს. მათ შესანიშნავად იმუშავეს, ნამდვილი პროფესიონალები არიან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




## იუმორი

მოსამართლე დაზარალებულს ეკითხება:

– დაზარალებულო, თუ იცნობთ იმ ადამიანს, რომელმაც თქვენი მანქანა გაიტაცა?

– ბატონო მოსამართლევ, მისი ადვოკატის სიტყვის შემდეგ საერთოდ ეჭვი შემეპარა, მყავდა თუ არა მანქანა.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეკითხება:

– სად შეიძლება დაბადების დღის, რაც შეიძლება იაფად აღნიშვნა?

– კალენდარზე, ფანქრით.

•••

ბავშვი დედას ეუბნება:

– დედიკო, და მინდა.

– მე წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ მამაშენია წინააღმდეგი.

– მამა მივლინებაში რომ წავა, ჩვენც მაშინ მოვაგვაროთ.

•••

დილით ცოლი ადგა, სარკესთან მივიდა, დიდხანს უყურა საკუთარ თავს, შემდეგ მძინარე მეუღლეს გადახედა და ჩაიბურტყუნა:

– ასეც მოგიხდება, მეტს არც იმსახურებ!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ქალი და სექსი ისევეა, როგორც ჩინოსანი და ქრთამი.

– ეგ როგორ?

– როგორ და თავიდან: „ოჰ, რას ამბობთ, არა, არა!“ და შემდეგ: „რა ასე ცოტა?!“

•••

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– სულაც არ ვარ მსუქანი!

– საიდან დაასკვენი?

– საიდან და გივიმ მითხრა, რომ იდეალური ფიგურა მაქვს.

– გოგო, გივი მათემატიკოსია და მისთვის იდეალური ფიგურა ბურთულაა...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეკითხება:

– გუშინ შენ შეყვარებულს სასმელის გარდა კიდევ რითი გაუმასპინძლდი?

– ნუ... წითელი თევზით...

– ვაა. ორაგულით?

– არა, „კილკით“ ტომატში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გარეტ ბეილით ჩინური კლუბებიც დაინტერესდნენ



გარეტ ბეილის რეალიდან წასვლა უკვე გადაწყვეტილი ამბავია, რადგან ფეხბურთელს ზიდანთან კონფლიქტი აქვს და ბოლო ორ შეხვედრაში ის განაცხადშიც ვერ მოხვდა. ბეილის შეძენა ინგლისურ გუნდებს სურთ, თუმცა მათ 120 მილიონის გადახდა არ უნდათ, რასაც რეალი ითხოვს. სამაგიეროდ, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჩინური გუნდი მზად არის, ეს თანხა გადაიხადოს და ასევე ბეილს 30-მილიონიანი კონტრაქტი შესთავაზოს. ჯერჯერობით უცნობია, დათანხმდება თუ არა ბეილი ჩინეთში თამაშს თუ ისევ ინგლისს ამჯობინებს.

## ბარსელონას ლაკაზეტის შეძენა სურს

ბარსელონა ზაფხულში ბევრი ტრანსფერის განხორციელებას აპირებს და კატალონიური გუნდის ინტერესის სფეროში რამდენიმე ფეხბურთელი მოხვდა.

ბარსელონის მთავარი პრიორიტეტი ანტუან გრიზმანია, მაგრამ, თუ მისი შეძენა ვერ მოხერხდა, მაშინ ბარსელონა ალექსანდრ ლაკაზეტზე იფიქრებს, რომელიც წელს არსენალის ერთ-ერთი ლიდერი გახდა.

ლაკაზეტმა განაცხადა, რომ არსენალიდან წასვლა არ სურს, მაგრამ ბარსელონას ყურადღება სიამოვნებს და მომავალში შეიძლება ყველაფერი მოხდეს.




## ანდერ ერერა მანჩესტერ იუნაიტედს დატოვებს

მანჩესტერ იუნაიტედის ესპანელი ნახევარმცველი ანდერ ერერა მომავალ წელს კარიერას სხვა კლუბში გააგრძელებს. ეს ინფორმაცია თვითონ ფეხბურთელმა ოფიციალურად დაადასტურა.

ერერას თქმით, ის მანჩესტერში ბედნიერი იყო, მაგრამ ცვლილებების დრო მოვიდა. ჯერჯერობით უცნობია, თუ სად გააგრძელებს კარიერას ერერა, თუმცა, დიდი ალბათობით, ის სამშობლოში დაბრუნდება და რომელიმე ესპანურ გუნდში ჩაირიცხება.

მანჩესტერამდე ერერა ბილბაოს ატლეტიკის ფეხბურთელი იყო.

## დანიელე დე როსი კარიერას დაასრულებს



რომას ნახევარმცველი დანიელე დე როსი სეზონის ბოლოს გუნდს დატოვებს და, სავარაუდოდ, კარიერასაც დაასრულებს, თუმცა დე როსის ჯერჯერობით საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

დე როსი რომაში 2002 წლიდან თამაშობს და მას სხვა კლუბში არასოდეს უასპარეზია. კარიერის განმავლობაში დანიელეს არაერთი შემოთავაზება ჰქონდა, მაგრამ მან რომაში დარჩენა ამჯობინა.

დე როსისა და რომას ურთიერთობა დასასრულს მიუახლოვდა და, თუ დე როსის კარიერის გაგრძელება სურს, მაშინ მას სხვა გუნდის მოძებნა მოუწევს.

## მალკომი, შესაძლოა, საფრანგეთში დაბრუნდეს




ბარსელონის ბრაზილიელი შემტევი მალკომი, შესაძლოა, ზაფხულში გუნდიდან წავიდეს, რადგან მას ბარსელონაში თითქმის არ აქვს სათამაშო დრო და ამის გამო ის უკმაყოფილოა. მალკომის შეძენა ფრანგულ ლილს სურს, რომელიც მზად არის, ამ ტრანსფერში 41 მილიონი ევრო გადაიხადოს.

მალკომი წლების განმავლობაში ბორდოს ფეხბურთელი იყო, ამიტომ ის საფრანგეთს კარგად იცნობს და, სავარაუდოდ, ამ ვარიანტზე უარს არ იტყვის, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ლილი მომავალ წელს ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ყირგიზეთის დედაქალაქი; 2. ყველისგულიანი ქართული გამომცხვარი ცომეული; 3. გარდაბნის ძველი სახელწოდება; 4. იაპონელი მოდელიორი; 5. სამეფო საგვარეულო; 8. აჭარული ცეკვა; 12. საკარმიდამო მამული საფრანგეთში; 13. ჭადრაკის პარტიის დასკვნითი ნაწილი; 14. უბანი თბილისში; 16. ერთწლიანი მარცვლეული კულტურა; 18. სამეჯლისო ცეკვა; 20. სასულე ორკესტრის მიერ შესრულებული მოკლე მუსიკალური მისალმება.

**თარაზულად**: 6. ძმრით, ფქვილით, ხახვითა და ათქვეფილი კვერცხით შეზავებული მოხარშული ქათმის წვნიანი კერძი; 7. სკანდინაველი პოეტი-მომღერლები ძველად; 8. ჩქარტემპიანი უკრაინული ხალხური ცეკვა; 9. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 10. წითელი ფერის მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 11. კოსოვოს დედაქალაქი; 15. ცილისწამება, მონაჭორი ვინმეს სახელის გასატეხად; 17. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 19. ორკუზიანი აქლემი; 21. კასპიის ზღვის ძველი სახელწოდება; 22. სოკოს შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 23. სოფელთა სახელწოდება შუა აზიაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

